პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 275 (10051) | შაბათი, 20 ნოემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის დონე. — „პრავდის“ 19/XI მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად საშობლოში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — გ. ხეჩუაშვილი. — საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია და შრომის დისციპლინა (მე-2 გვერდი).
ვ. მამალაძე. — სახალხო სასამართლო სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე (მე-2 გვერდი).
მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა. — თ. ყუფუნია. — როგორ გავადიდეთ ჩაის ფოთლის მოსავლიანობა (მე-2 გვერდი).
ი. შერაზადიშვილი. — ნახევარი საუკუნის მანძილზე (მე-3 გვერდი).
ულან-ბატორს ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობაზე (მე-3 გვერდი).
უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დეკლარაცია — ნოტა საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 13 ნოემბრის ნოტაზე (მე-3 გვერდი).
ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ი. კ. პაასიკივის ლენინის ორდენი გადაეცა (მე-3 გვერდი).
მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).

ავამაღლოთ ლექციური პროპაგანდის დონე

პარტიული განათლების სისტემაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობა ენიჭება ლექციურ პროპაგანდას. ლექცია მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელი კომუნისტებისა და უპარტიოებისათვის დახმარების გაწევის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფორმაა. გულდასმით მომზადებული და კარგად წაკითხული ლექცია ხალხს აძლევს იმ ამხანაგებს, რომლებიც დამოუკიდებლად მეცადინეობენ, უფრო მტკიცე რწმენით ისწავლონ მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურა.

მარქსიზმ-ლენინიზმის დამოუკიდებლად შემსწავლელთა რიცხვის მნიშვნელოვან გადიდებასთან დაკავშირებით პარტიული ორგანიზაციების წინაშე დაისახა ამოცანა ახალ სასწავლო წელს მეტი გაქანებით მოაწყონ ლექციური პროპაგანდა და ამასთან ყოველი ღონისძიებით აამაღლონ მისი იდეური დონე. ფართოდ გავრცელდა პარტიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის, ფილოსოფიის, საერთაშორისო მდგომარეობის, კონკრეტული ეკონომიკის დარგში ლექციების ციკლების კითხვის ფორმა, რამაც გაამართლა თავისი დანიშნულება.

შესამჩნევად გაუმჯობესეს ლექციური პროპაგანდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, მინსკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა საბრწყინვალო და კულტურული ცენტრების პარტიულმა ორგანიზაციებმა. ლექციების წასაკითხავად იწვევენ ბევრ კვალიფიციურ პროპაგანდისტს, რომლებიც სიყვარულით ეკიდებიან თავიანთ საქმეს, შემოქმედებითს მიდგომას იჩენენ მარქსისტულ-ლენინური თეორიის გაშუქებისას.

ამასთან ერთად ლექციური პროპაგანდის დაყენებაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. პოლიტსწავლების სასკოლო-საწრეო ფორმებით გატაცება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ლექციური პროპაგანდის შეუფასებლობა ახლაც კი საგრძნობია. მაგალითად, კრასნოდარის მხარეში პარტიის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტი წელსაც ჯეროვნად ვერ აფასებს ლექციური პროპაგანდის მნიშვნელობას. აქ პარტიის მთელ რიგ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში თავს არ იწუხებენ ლექტორთა კადრების შერჩევით და შესწავლით, სუსტად ხელმძღვანელობენ მათ. ბევრმა პროპაგანდისტმა არ იცის, რა ლექციები და რომელი აუდიტორიის წინაშე უნდა წაიკითხოს. ზოგ მათგანს არა აქვს ლექციური მუშაობის გამოცდილება და ესაჭიროება სერიოზული თეორიული და მეთოდური დახმარება. მაგრამ მათ ცოტას ასწავლიან. ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები ლექტორებს არ უკითხავენ მოხსენებებს პარტიული ორგანიზაციების სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანებზე.

ლექციური პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უზრუნველყოს ლექციების იდეური დონის განუხრელი ამაღლება. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ცოტა როდი იკითხება ისეთი ლექციები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს მსმენელთა მოთხოვნილებას და რომლებსაც ახასიათებს დოგმატიზმი და მოძველებულობა. ეს გამოიხატება უწინარეს ყოვლისა იმით, რომ არ ხდება არჩეული თემის შემოქმედებითი დამუშავება, წაკითხული მასალა სუსტად არის დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, არა ჩანს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი მოვლენების განზოგადების უნარი.

ლექციური პროპაგანდის იდეური შინაარსის არსებითი ნაკლოვანებანი აღინიშნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე. მოიყვანეს მაგალითი, რომ რესპუბლიკის ახმეტის რაიონში ლექციებს კითხულობენ ორი-სამი წლის წინათ დაწერილი ტექსტებით. ცხოვრებასთან, სამეურნეო მშენებლობის საარსებო საკითხებთან ლექციური პროპაგანდის რა კავშირზე შეიძლება ამ შემთხვევაში ლაპარაკი! პლენუმზე მკვეთრად გააკრიტიკეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლექტორთა ჯგუფის, კულტურის სამინისტროს სალექციო ბიუროს და რესპუბლიკის პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობა.

საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ პარტიული კომიტეტების ლექტორები, როგორც შტატის, ისე შტატგარეშე ექსპერტები, დამოუკიდებლად ემზადებოდნენ ლექციებისათვის, ღრმად სწავლობდნენ მასალას, თვითონ ადგენდნენ ლექციების ტექსტს, მექანიკურად არ იწერდნენ სტატიებს გაზეთებიდან, ჟურნალებიდან და ბროშურებიდან, რაც, სამწუხაროდ, ხდება ხოლმე. ლექტორი, რომელიც დამოუკიდებლად არ ემზადება ლექციისათვის და სხვის ტექსტებს კითხულობს, შემოქმედებითად ვერ იზრდება და ამიტომ ვერ დაეკმაყოფილებს მსმენელთა მოთხოვნილებას.

ბევრი ლექტორი არ ითვალისწინებს იმ აუდიტორიის ხასიათს, რომლის წინაშეც გამოდის. ხშირად ისე ხდება, რომ ლექციის ერთი და იგივე ტექსტი იკითხება პარტიული აქტივისთვისაც და სწავლის დამწყები ახალგაზრდობისთვისაც. ამასთან ლექციები ხშირად სავსეა განყენებული მსჯელობით, განყენებული ცნებებით, საჭირო ახსნა-განმარტების მიუცემლად. ჩვენმა ლექტორებმა ხშირად უნდა გაიხსენონ ვ. ი. ლენინის შესანიშნავი სიტყვები, რომ უნდა ილაპარაკო სადად და ნათლად, გასაგები ენით, სრულიად უნდა უკუაგდო ხელოვნური ტერმინები, უცხო სიტყვების, გაზეპირებული, მზამზარეული, მაგრამ მახასთავის ჯერ კიდევ გაუგებარი განმარტებების, დასკვნების მძიმე არტილერია.

ლექტორები მოვალენი არიან მუდამ იუმჯობესებდნენ ოსტატობას, სწავლობდნენ, თუ როგორ ჩამოაყალიბონ მკაფიო ფორმით ლექციები, ილუსტრაციისათვის მოიყვანონ საინტერესო ფაქტები და მაგალითები, სახეები და შედარებანი მხატვრული ლიტერატურიდან და ხალხური შემოქმედებიდან. ბევრს წააგებენ ის ლექტორები, რომლებიც სიტყვა-სიტყვით წაიკითხავენ დაწერილ ტექსტს. უდავოა, რომ ლექტორის ცოცხალ სიტყვას მეტი ყურადღებითა და ინტერესით შეითვისებენ მსმენელები. ლექციური პროპაგანდის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ლექციების თემატიკაზეც. პარტიულმა კომიტეტებმა და ლექტორთა ჯგუფებმა ლექციების მოწყობის გეგმის შემუშავებისას უნდა გაითვალისწინონ კომუნისტებისა და უპარტიოების მრავალფეროვანი ინტერესები და მოთხოვნილებანი, თავის დროზე გამოეხმაურონ საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს. ლექტორები, პროპაგანდისტები მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე უნდა აშუქებდნენ ჩვენი განვითარების პერსპექტივებს, გვიჩვენებდნენ მრეწველობის განვითარებისა და სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დარგში პარტიისა და მთავრობის ღონისძიებათა მნიშვნელობას. ამასთან ამ ღონისძიებათა პროპაგანდა განუყრელად უნდა დაუკავშირონ ამა თუ იმ ოლქის, რაიონის, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის თუ მანქანა-ტრაქტორთა სადგურის კონკრეტულ ამოცანებს. ლექციურ პროპაგანდას შეუძლია გაუწიოს და კიდევაც უნდა გაუწიოს დახმარება პარტიულ ორგანიზაციებს იმაში, რომ დარაზმონ მასები, რათა გამოსახონ ახალი შესაძლებლობანი, ახალი რეზერვები სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადასაჭრელად.

საჭიროა ფართოდ და სისტემატურად მოვაწყოთ ლექციები პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიის საკითხებზე. კადრების ეკონომიური განათლება სოციალისტური მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დონის ამაღლებისა და პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკის წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობაა.

საერთაშორისო მდგომარეობის საკითხების გაშუქების დარგში ლექციური პროპაგანდის ამოცანა ის არის, რომ ღრმად გავაშუქოთ სოციალისტური სისტემის უდიდესი უპირატესობა კაპიტალისტურის წინაშე, ვუჩვენოთ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის, როგორც მშვიდობის შენარჩუნებისა და ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის, არსი, გამოვაშკაროთ იმპერიალიზმის თანამედროვე წინააღმდეგობანი, უფრო მკაფიოდ ვუჩვენოთ საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმატებანი მშვიდობისათვის ბრძოლაში, ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მომწიფდა იმის საჭიროება, რომ მოეწყოს პოპულარული ლექციები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება მშრომელთა უაღრესად ფართო ფენებისათვის. ლექციური პროპაგანდის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ბრძოლა მატერიალისტური მსოფლმხედველობისათვის. სულ უფრო ძლიერდება მასების მისწრაფება ცოდნისადმი. პარტიული ორგანიზაციები უნდა აკმაყოფილებდნენ მასების მოთხოვნებსა და მოთხოვნილებებს. ლექციებს მეცნიერულ-ათეისტური პროპაგანდის დარგში საფუძვლად უნდა დაედოს ბუნებისა და საზოგადოების ცხოვრების ყველაზე დიდმნიშვნელოვან მოვლენათა პოპულარული და ღრმა ახსნა.

ლექციური პროპაგანდა პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია. პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა სისტემატურად მუშაობდნენ ლექციური პროპაგანდის საკითხებზე, ლექტორთა იდეურ--თეორიული დონის და პროფესიული ოსტატობის ამაღლებაზე. საჭიროა ლექციურ პროპაგანდაში ჩავაბათ პარტიული აქტივისა და პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის ახალი ძალები, პარტიის საოლქო და საქალაქო კომიტეტებთან შევქმნათ შტატგარეშე ლექტორთა სისხლსავსე ჯგუფები. ლექციური პროპაგანდის დონე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ლექტორთა ვიწრიანრივ შემადგენლობაზე. რაც უფრო სერიოზულად უდგებიან პარტიული კომიტეტები ლექტორთა შერჩევას, მით უფრო კარგად არის დაყენებული ლექციური პროპაგანდაც. მაგრამ პარტიის ზოგიერთი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტი არ ზრუნავს ლექტორთა ჯგუფების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, არ იწვევს ყველაზე კვალიფიციურ და მომზადებულ ლექტორებს, ნაკლებად ეხმარება მათ. ამას წინათ გაიმართა პარტიის ტამბოვის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, სადაც ლაპარაკი იყო იმაზე, რომ საქალაქო კომიტეტი და მისი პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, პარტიის ქალაქის რაიკომები არ ახორციელებენ სისტემატურ კონტროლს ლექციების ხარისხისადმი, ჯეროვნად არა აქვთ მოგვარებული მუშაობა ლექტორებთან, ნაკლებად ზრუნავენ მათი პროპაგანდისტული ოსტატობის გაუმჯობესებისათვის. პარტიული კომიტეტების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა გაუფრთხილდნენ პროპაგანდისტთა კადრებს, ყოველდღიურად იზრუნონ მათი თეორიული და პოლიტიკური ზრდისათვის.

პარტიული განათლების სისტემაში ამას წინათ დაწყებული ახალი სასწავლო წელი უნდა გახდეს მთელი პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომი აღმავლობის, კომუნისტების პოლიტიკური სწავლის ხარისხის გაუმჯობესების, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საქმის გაუმჯობესების წელი. ლექციური პროპაგანდის გაქანებასა და ხარისხზე ბევრად დამოკიდებულია წარმატებანი კომუნისტების, მთელი ჩვენი ინტელიგენციის მიერ მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების საქმეში.

„პრავდის“ 19/XI მოწინავე.

ჩვენს დიად საშშოკბლოში

★ ★ ★ ★

მეხუთე ხუთწლედის ჯექნიკა

პირგადასალებ-საღარავი ჩარხი

მოსკოვის ქარხანა „სტანკოინსტრუქციაში“ დაამზადეს ახალი პირგადასალებ-საღარავი ნახევრადავტომატი ჩარხები. მათზე ერთდროულად შეიძლება 0,05 მილიმეტრის სიზუსტით დამუშავდეს ყველაზე რთული კონფიგურაციის ორი დეტალი. ჩარხების მართვა წარმოებს რთული ჰიდრავლიკური სისტემის საშუალებით. ეს ნახევრადავტომატი ჩარხი შესაძლებლობას იძლევა 8-10-ჯერ გადიდდეს შრომის ნაყოფიერება.

სურათზე: ამწყობი ზეინკლები ფ. მ. ბურმისტრიუკი (მარცხნივ) და ი. ნ. კაზაკოვი ამთავრებენ პირგადასალებ-საღარავი ნახევრადავტომატი ჩარხის აწყობას.

ფოტო ვ. კოშევოისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

თათბირი მებამბეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე

ტაშკენტი, 18 ნოემბერი. (საკდესი). მებამბეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე მოწვეული თათბირის მონაწილენი დღეს დილიდან ეცნობოდნენ სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობას, იყვნენ მებამბეობის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ცენტრალურ სასელექციო სადგურში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა სადგურის თანამშრომლებს მებამბეობაში მოწინავე აგროტექნიკური მეთოდების, კერძოდ, კვადრატულ-ბუდობრივი თესვის, აგრეთვე შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის დანერგვისა და ბამბის საადრეო, მაღალეფექტიანი ჯიშების გამოყვანის შესახებ.

საღამოს 6 საათზე უზბეკეთის ნავოის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაიწყო ამხ. ნაიზოვის მოხსენების განხილვისადმი მიძღვნილი მორიგი სხდომა.

პირველი სიტყვა ეძღვნა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. გიფუროვს. ტაჯიკეთის სსრ სოციალისტური ინდივრების მშრომელებმა, ამბობს იგი, მიმდინარე წელს მოიყვანეს უხვი მოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოსათვის ბამბის ჩაბარების გეგმის შესრულებას. ერთ-ერთი რეზერვი, რომლის გამოყენება მუშაობაში წარმატებას იძლევა, არის ბამბის მცენარეთა დიდი სიხშირე და ნათესების განლაგება ვიწრო მწკრივთაშორისებით. ამხ. გიფუროვს მოჰყავს მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ მცენარეთა კვადრატულ-ბუდობრივი განლაგების და 45 სანტიმეტრი სიგანის მწკრივთაშორისების გამოყენების წარმატებითს ცდას. ტაჯიკეთის სსრ მებამბეები ვარაუდობენ უახლოეს წლებში თითქმის ყველგან შემოიღონ თესვა ასეთი სიგანის მწკრივთაშორისებით.

ორატორი აკრიტიკებს სამეცნიერო დაწესებულებებს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმისათვის, რომ ისინი სუსტად სწავლობენ მოწინავე მეურნეობათა გამოცდილებას, გაუზდავად ნერგავენ წარმოებაში ახალ აგროტექნიკურ ხერხებს, რომელთა ეფექტიანობა დადასტურებულია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, ამბობს შემდეგ ამხ. გიფუროვი, მიიღეს გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს მებამბეობის ახალ აღმავლობას ტაჯიკეთის სს რესპუბლიკაში. გამოიანგარიშეს რა თავიანთი შესაძლებლობანი, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება: 1960 წლისათვის ბამბის მოსავალი გაადიდონ 40 ცენტნერამდე ჰექტარზე და ჩაბარონ სახელმწიფოს 1960 წელს ერთი მილიონი ტონით მეტი ნედლი ბამბა, ვიდრე დაწესებულია ამ გადაწყვეტილებით.

ტრიბუნაზეა ტაშკენტის ოლქის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ტურსუნკულოვი. იგი აღნიშნავს, რომ საჭიროა მეცნიერულად გადავჭრათ ბამბის მოყვანის აგროტექნიკის ზევრი საკითხი. ბამბის უხვი მოსავლის ოსტატი ურჩევს დამსწრეთ შეისწავლონ ხალხის გამოცდილება, რომლითაც განსაზღვრულია ბამბის მცენარის კვების გარკვეული რეჟიმები მისი ზრდისა და დამწიფების სხვადასხვა სტადიაზე. ამხ. ტურსუნკულოვი ურჩევს მებამბეებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ნათესების მორწყვას, რომლის დროს უნდა გაითვალისწინონ ნიადაგის თავისებურებანი და მცენარის მოთხოვნები.

აზერბაიჯანის სსრ უჯარის რაიონის მიქოიანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის თავმჯდომარემ ამხ. მამედოვამ, ტაშკენტის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „მალენკის“ დირექტორმა ამხ. იბრაჰიმოვმა, ბამბის ასაღები მანქანის წარჩინებულმა მექანიკოს-მძღოლმა უზბეკეთის სსრ ხუთწლედის სახელობის საბჭოთა მეურნეობიდან ამხ. მურატოვმა თავიანთი გამოსვლები მიუძღვნეს ბამბის მოყვანის ნექანიზაციისა და აგროტექნიკის დონის შემდგომი ამაღლების ამოცანებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ყირგიზეთის სსრ არავნის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ამხ. ანაროვამ, პარტიის კაშკა-დარიის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ყურბანოვმა და სხვებმა.

თათბირი მუშაობას განაგრძობს.

ყოველდღე ზეგეგმითი პროდუქცია

კალინინი, 18 ნოემბერი. (საკდესი). მოსკოველთა პატრიოტულმა თაოსნობამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა კალინინის ვაგონთა სახელობის სართავ-საქსოვ ფაბრიკაში. ფეიერებმა გადაწყვიტეს 1955 წლის 12 დეკემბრისათვის შეასრულონ ნართის გამოშვების ხუთწლიანი დავალება და 1 დეკემბრისათვის — ქსოვილების გამომუშავების დავალება.

ფაბრიკაში ხორციელდება ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესების, მოწყობილობის წარმადობის გადიდების ღონისძიებანი. მაგალითად, გადიდებულია სართავი მანქანების სიჩქარე. ამან საშუალება მისცა ფაბრიკას ცვლაში დამატებით გამოუშვას 1.100 კილოგრამი ნართი. ელასტიკური ლენტი საჩეჩ მანქანებზე შეცვლილია მთლიანი ლითონის ლენტით. ახლა უკვე აღარ არის საჭირო მანქანის ცვლაში ოთხჯერ გაჩერება გასაწმენდად, როგორც ეს იყო სულ ცოტა ხნის წინათ: მას დღეღამეში მხოლოდ ერთჯერ წმენდენ. ამის შედეგად საგრძნობლად გადიდდა მოწყობილობის წარმადობა, განთავისუფლდა 30 დამხმარე მუშა.

გადიდდა საქსოვი დაზგების სიჩქარე. მარტო ამის მეოხებით ცვლაში დამატებით უშვებენ 3 ათას მეტრ ქსოვილს. განხორციელებულია საამქროების ხელახლა დაგეგმვა. არსებულ ფართობებზე დადგმულია კიდევ 30 საქსოვი დაზგა, ორი სახამებელი და ოთხი საქსელე მანქანა.

საწარმო ყოველდღე უშვებს დავალების გადამეტებით ასობით კილოგრამ ნართსა და ოთხ-ხუთ ათას მეტრ ქსოვილებს.



აზერბაიჯანის სსრ. მინგეჩაურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის საერთო ხედი.

ფოტო ფ. შევცოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მრეწველობა—სოფლის მეურნეობას

ახალი არხსათხრელი

ლიტვის სსრ შირვინტოსის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში საწარმოო პირობებში გამოსცადეს ახალი არხსათხრელი „ლკა-2“, რომელიც კონსტრუირებულია ლენინგრადის სატყეო მეურნეობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მიერ და რომელიც დაამზადა სტალინის სახელობის კრემენჩუგის საგზაო მანქანების ქარხანამ. ახალი არხსათხრელი გათვალისწინებულია ტყის დაჭაობებული მასივების ამოსაშრობად, მაგრამ, როგორც გამოცდამ ცხადყო, იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას სამელიორაციო სამუშაოებზე ყოველგვარ პირობებში.

სურათზე: ახალი არხსათხრელი „ლკა-2“ გამოცდის დროს.

ფოტო ლ. მოროზოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ორთაჭალელ კოლმეურნეთა დელეგაცია თბილისს გამოემგზავრა

მოსკოვი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, ამას წინათ მოსკოვის ოლქის რამენსკოეს რაიონის სოფელ ტიმონინოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში სტუმრად ჩამოვიდა ორთაჭალელ კოლმეურნეთა დელეგაცია. სტუმრები აქ რამდენიმე დღეს ეცნობოდნენ მოლოტოველთა გამოცდილებას საზოგადოებრივი მეურნეობის კომპლექსურად გაძღოლის საქმეში, დაწვრილებით შეისწავლეს მეცხოველეობის ფერმების მუშაობა, ბოსტნეული კულტურების მოყვანის მოწინავე ხერხები.

დაბრუნდნენ რა მოსკოვში ტიმონინოდან, 18 ნოემბერს ქართველი კოლმეურნეები გამოემგზავრნენ დედაქალაქიდან თბილისში. ვაგზალზე ისინი გულთბილად გააცილეს ტიმონინოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. პუზანჩიკოვმა, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ამხ. ფადეევამ, ზოოტექნიკოსმა ამხ. კრეევამ და სხვებმა.

არტილერიის ისტორიის მუზეუმის გაფართოება

არტილერიის დღის წინ რეკონსტრუქციის შემდეგ ლენინგრადში კვლავ გაიხსნა არტილერიის ისტორიის მუზეუმი. ერთიანობად გადიდებულია მისი საგამოფენო დარბაზები, წარმოდგენილია ბევრი ახალი მასალა.

მუზეუმის დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან ჩვენი არტილერიის სახელოვანი საბრძოლო ისტორიის ამსახველ უმდიდრეს კოლექციებს, საბჭოთა საარტილერიო მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მოპოვებულ სერიოზულ მიღწევებს.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ყველაზე მნიშვნელოვანი განყოფილება — „საბჭოთა არტილერია დიდ სამამულო ომში“. ეს განყოფილება ახლა მრავალი ძვირფასი ექსპონატით გამდიდრდა. აქ დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ნიმუშები პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკისა, რომლითაც აღჭურვილია საბჭოთა არმია. განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვეტერან ქვემეხებს, რომლებმაც ათასობით კილომეტრი განვლეს ომის გზებზე და მტრის ბევრი ცოცხალი ძალა და ტექნიკა გაანადგურეს. ამ ქვემეხების რიცხვშია 152-მილიმეტრიანი ჰაუბიცი № 3953. ამ ქვემეხმა 4.000-ზე მეტი ყუმბარა გაისროლა და თავისი სახელოვანი სამხრეთული გზა ბერლინთან დამთავრა.

ფარებზე და ვიტრინებში წარმოდგენილია ტექსტები უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ ი. ბ. სტალინის გამოსვლებისა და ბრძანებებისა, რომლებიც საბჭოთა არმიაში პოლიტიკური მუშაობის საფუძველს წარმოადგენდნენ. ფოტოები, სურათები, ჭანდაკებები და სახვითი ხელოვნების სხვა ნაწარმოებები წარმოდგენას იძლევიან საბჭოთა არტილერისტების, ნაღმტყორცნელების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების, საბჭოთა არტილერიის ოფიცრებისა და გენერლების შესანიშნავ საგმირო საქმეებზე, რომლებიც ისტორიაშია შესული.

მუზეუმის მასალები საშუალებას გვაძლევენ თანმიმდევრულად გავეცნოთ ჩვენი სამშობლოს შეიარაღებული ძალების მიერ განვლილი სახელოვანი გზის უმნიშვნელოვანეს ეტაპებს.

ვალენტინა იუნოშევა,
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.
ქ. ლენინგრადი.

კონფერენცია ტრანსპორტის გაუმჯობესებისა და ნავთობის შენახვის საკითხებზე

17 ნოემბერს მოსკოვში დამთავრდა კონფერენცია ნავთობბაზებისა და მაგისტრალური მილსადენების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლოატაციის გაუმჯობესების საკითხებზე. კონფერენცია მოიწვია საბჭოთა კავშირის მენავთობეთა სამეცნიერო ინჟინერ-ტექნიკურმა საზოგადოებამ.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტების, სამშენებლო და საწარმოო ორგანიზაციების, სამინისტროების 350-ზე მეტმა წარმომადგენელმა. კონფერენციამ მოისმინა და განიხილა 20-ზე მეტი მოხსენება.

სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრის მოადგილემ ნ. მ. მიხაილოვმა კონფერენციის დამსწრეებს გააცნო ტრანსპორტის განვითარებისა და ნავთობპროდუქტების შენახვის და ამ პროდუქტებით მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა მომხმარებელთა მომარაგების პერსპექტივები.

მაგისტრალური მილსადენების ქსელის სიგრძე 1955 წლის დამდეგისათვის 1940 წელთან შედარებით 2,5-ჯერ გადიდდება. ყველაზე ეკონომიური ხერხით — მილებით გადატუმბვით — ქარხნები მიიღებენ მთელი ნავთობის ნედლეულს თითქმის სამ მეოთხედს.

დიდი წარმატებებია მიღწეული მილსადენების დაპროექტებისა და მშენებლობის დარგში მდნობი ავტომატური შედუღების გამოყენებით. მილსადენები აღჭურვება პირველხარისხოვანი საბჭოთა ტექნიკით, სატუმბავ სადგურებში ეწყობა ავტომატიკა. (საკდესი).

შეჯიბრება მატერიალური ხარჯის შემცირებისათვის

დნეპროპეტროვსკი, 18 ნოემბერი. (საკდესი). ერთი წლის წინათ კარლ ლიბკნეხტის სახელობის ქარხნის მილგლინავებმა დაიწყეს შეჯიბრება თვითეულ ტონა ნაწარმზე მატერიალური ხარჯის შემცირებისათვის. ამ პერიოდში საამქროს კოლექტივმა დიდი წარმატება მოიპოვა ნედლეულის, მასალის მომჭირნეულ ხარჯვისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში.

მოწინავე მუშების მაგალითისამებრ ყველა მგლინავმა ათთვისა ნავთობსადენი მილების გლინვა მინუსური მოსარგისებით. შემდეგ ღლებმა გაუმჯობესეს გასახურებელ ღუმელებში ნამზადის მომზადების პროცესი. ამის შედეგად ახლა ერთ ტონა პროდუქციაზე იხარჯება ლითონი 10 კილოგრამით, ნოლო სათბობი ექვსი კილოგრამით ნაკლები, ვიდრე გათვალისწინებულია ნორმით.

ღღეს შეჯიბრების შეჯიბრების შედეგები. საუკეთესო შედეგები მოიპოვა საწარმოს წარჩინებულმა ნოვატორმა ილია სოხარევმა, რომელსაც მიეკუთვნა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მგლინავის სამატიო წოდება. წელიწადში მან დაზოგა 437 ტონა ლითონი, 251 ათასი მანეთიო შემაცირა სათბობის, ელექტროენერგიისა და სხვა შინასაამქრო ხარჯები.

საამქროს კოლექტივმა ერთი წლის შეჯიბრებაში ნაწარმის თვითღირებულება შემაცირა 6,5 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 200 კილომეტრი ნავთობსადენი, რომლის მეათედი დამზადებულია დაზოგილი ლითონისაგან. მიღებულია ერთ მილიონ ექვსასი ათას მანეთზე მეტი დამატებითი ეკონომია.

დნეპროპეტროვსკელმა მილმგლინავებმა, რომლებიც ბაძავენ მოსკოველთა მაგალითს, გადაწყვიტეს ხუთწლიანი გეგმა ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულონ.

ოსტროვსკისა და კალინინგრადის ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა კარტოფილის დამზადებისა და შესყიდვის გეგმები შეასრულეს

კოსტრომისა და კალინინგრადის ოლქების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს კარტოფილის დამზადებისა და შესყიდვის მათთვის დაწესებული სახელმწიფო გეგმები და ახლა ინახავენ კარტოფილის თესლს 1955 წლის მოსავლისათვის.

კალინინგრადის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს აგრეთვე ბოსტნეულის დამზადებისა და შესყიდვის გეგმა.

პარტიული ცხოვრება

საკოლმეურნეო პარტორგანიზაცია და შრომის დისციპლინა

კაჟრეთის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში სწორად არის მოწყობილი შრომა, განმტკიცებულია დისციპლინა და კოლმეურნეობები წარმატებასაც აღწევენ. მაგრამ რაიონის ყველა კოლმეურნეობაში ასეთი მდგომარეობა როდია.

მაგალითად, კაკაბეთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციამ პირუტყვის ბინების მშენებლობის საკითხი ჯერ კიდევ ივლისში განიხილა. დადგენილებაც მიიღო, რომ ორ თვეში დამთავრებულიყო ბოსლის მშენებლობა. მაგრამ, სამწუხაროდ, საკითხი ზერელედ, მოუმზადებლად იქნა განხილული. ამიტომ იყო, რომ დადგენილება ქაღალდზე დარჩა, ხოლო საქმე არ გაკეთდა.

ოქტომბერში კვლავ განიხილეს ეს საკითხი პარტიულ კრებაზე. გამორკვა, რომ ბოსლის მშენებლობაზე ნოუწყობელია შრომა, რის გამო საქმე წინ არ მიდის. ამიტომ ისევ ახალი დადგენილება მიიღეს. პარტიბიუროს მდივანს ვ. აბესაძეს დაევალა სისტემატური კონტროლი დაწესოს მშენებლობაზე. მაგრამ საქმეს ახლაც დადგენილებამაც არ უშველია. ბოსლის მშენებლობა კვლავ ჭიანურდება.

საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში არ დგას შრომის დისციპლინის საკითხები. აგიტატორები ცუდად ეწევიან მოწინავე კოლმეურნეთა გამოცდილების პროპაგანდას, არ აკრიტიკებენ და არ აკეცხავენ ზარმაცებს, უქნარებს.

ყოველივე ამის გამო შესუსტებულია შრომის დისციპლინა, რამაც სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში კოლმეურნეობის ჩამორჩენა გამოიწვია. მაგალითად, მეძროხეობაში ნამატის გაზრდის გეგმა 70 პროცენტით შესრულდა, ხოლო თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 800 ლიტრის ნაცვლად მიღებულია 415 ლიტრი რძე. კომუნისტი კოლმეურნეების ნ. ოქრომჭედლიშვილის, გ. მღებრიშვილის, ს. ოქრომჭედლიშვილისა და მ. ოქრომჭედლიშვილის ოჯახების შრომისუნარიანი წევრები საკოლმეურნეო შრომას თავს არიდებენ. წელს კოლმეურნეთა ერთ ნაწილს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმიც არ გაეუმუშავებია. პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ისიც არ იცის, თუ რამდენ კოლმეურნეს არა აქვს გამომუშავებული შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი.

შრომის დისციპლინის მხრივ კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სოფელ კაკაბეთის შვერნიკის სახელობის კოლმეურნეობაში. 656 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან 60-ზე მეტს შრომადღეების მინიმუმის მესამედიც არ აქვს გამომუშავებული, ხოლო 30 კოლმეურნეს სულაც არ უმუშავნია.

წლების განმავლობაში კოლმეურნეობაში არ სრულდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და პროდუქტიულობის გეგმები.

ჩამორჩენა იქით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობაში ჩაშლილია შრომის ორგანიზაცია. მეცხოველეობის ფერმებში ამ საქმის უცოდინარი ადამიანები მუშაობენ.

კოლმეურნეობის გამგეობაც მერგოლურები ს. ყამიერაშვილი და შ. ოთიაშვილი მეწყისქვილეებად გამოჰყო, ხოლო ი. ექვთიმიშვილი, ო. მასურაშვილი და ვ. ოთიაშვილი ისე შეარჩიეს მერგოლურებად, რომ მათ ამის შესახებ არაფერი იციან. კოლმეურნეო. ჯიმშელაძეს კი გამგეობამ ორი რგოლის ხელმძღვანელობა დააკისრა.

არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეებს შრომადღეები სწორად არ ერიცხებათ. მაგალითად, კოლმეურნე ვ. ოთიაშვილს რამდენიმე თვის შემდეგ „მოუნახეს“ მის მიერ გამომუშავებული შრომადღეები.

პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ჭიკაძე კოლმეურნეობის გამგეობის ნებართვით მაისის თვეში ერთი თვით მოსწყდა არტელის საქმიანობას საკუთარი ბინის მშენებლობის „მიზეზით“. მაგრამ იგი ხუთ თვეს იყო „შვებულებაში“. პარტორგანიზაციის მდივანს კომუნისტთა შორისაც გამოუჩნდენ მიმბაძველნი. კომუნისტებს ს. მჭედლიშვილს, კ. ექვთიმიშვილს, ი. მჭედლიშვილს, მ. ჭიკაძეს აქამდე შრომადღეების სავალდებულო მინიმუმის ნახევარიც არა აქვთ გამომუშავებული. კომუნისტი გ. ყუფარაძე სამი წელია კოლმეურნეობაში არ მუშაობს. იგი ქედლის გაზეთის რედაქტორია. წელს მხოლოდ 6 ნომერი გამოუშვა, რომლებშიც ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი შრომის დისციპლინაზე.

სერიოზული ნაკლოვანებანი შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში იქით არის გამოწვეული, რომ პარტიის კაჟრეთის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი ხადიაურის მტს-ის ზონაში ნაკლებ ინტერესს იჩენს ამ საქმისადმი.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ რაიონული გაზეთი „სოციალისტური მემინდვრეობა“ (რედაქტორი მ. მათიაშვილი) სუსტად აშუქებს რაიონის კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხებს. გაზეთის ფურცლებზე იშვიათად შეხვდებით წერილებს ამ თემაზე.

ბ. ხეჩუაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

რაიონული გაზეთის მუშაობა — მაღალ დონეზე

წყალტუბო. („კომუნისტის“ კორ.). შედგა პარტიის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორის შ. ტოგონიძის ანგარიში. პლენუმმა გამომაქვეყნა გაზეთის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებანი. „ახალი წყალტუბოს“ ფურცლებზე ჯერ კიდევ ფართოდ არ შუქდება რაიონის კოლმეურნეობებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრება, ცოტა იწერება საკურორტო დაწესებულებათა შესახებ. ნაკლები ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის ნოვატორთა და სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდას.

„ახალი წყალტუბოს“ რედაქციას შემოკრებილი არა ჰყავს ფართო აქტივი, იშვიათად იწვევს მკითხველთა თათბირებს. სუსტია რედაქციის მხრივ კედლის გაზეთებისადმი დახმარება, არ ეწყობა ძირეული პრესის მუშაკთა საინსტრუქტაჟო თათბირები.

პლენუმმა რაიონული გაზეთის მუშაობის გაუმჯობესებისათვის მიიღო სათანადო დადგენილება.

მოწინავე გამოცდილების ტრიბუნა

როგორ გავადიდეთ ჩაის ფოთლის მოსავლიანობა

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებები საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა სამოქმედო პროგრამად მიიღეს. განვლილ პერიოდში მათ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის საქმეში.

ეს მიღწევები ფართოდ იყო წარმოდგენილი სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. გამოფენის მონაწილეთა მდიდარი გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

განსაკუთრებით მინდა შევეხო ჩაის მოსავლიანობის გადიდების გზებს, იმ ხერხებსა და მეთოდებს, რითაც ჩვენმა ბრიგადამ მიაღწია წარმატებას.

ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის მოყვანაში ჩვენმა მეჩაიეებმა წლების მანძილზე მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. მეცნიერების მიღწევებისა და პრაქტიკოსთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვა ჩვენ სავალდებულო წესად გავიხადეთ. თვითეული კოლმეურნე დაინტერესებული იყო ყოველი ღონისძიებით მიეღწია ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გადიდებისათვის. ეს ჩვენ შევძელით მოწინავე აგროტექნიკის გამოყენებით, შრომის სწორად მოწყობისა და მინდობილი საქმისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების შედეგად.

იმის გამო, რომ პლანტაციებში ჩაის ბუჩქებს ჰქონდათ სხვადასხვა სიმაღლე და სიგანე, შპალერის გათანაბრებისა და ვარჯის (კრონის) გაგანიერების მიზნით ჩაის ბუჩქების გასხვლას პირველ ხანებში ვაწარმოებდით თვითეული ჩაის ბუჩქის მდგომარეობის მიხედვით. ამავე დროს პლანტაციებში ჩაის ფოთოლს ვკრეფდით იმ ანგარიშით, რომ შედარებით დაბალ ბუჩქებს უფრო სწრაფად მიეღწიათ 60-70 სანტიმეტრ სიმაღლისათვის. ამიტომ პირველად ვკრეფდით ორფოთლიან დუყებს, ხოლო ნეკზე ბუჩქის პირველადი სიმაღლის მიხედვით ვტოვებდით 2-6 და მეტ ფოთოლს.

ყოველწლიურად ვაწარმოებთ ჩაის პლანტაციების რიგთა შორის ნიადაგის დამუშავებას, შეგვაქვს ორგანული და მინერალური სასუქები. პლანტაციებში დროზე ვახორციელებთ ჩაის ნავენტლებთან და ავადმყოფობასთან ბრძოლის ღონისძიებებს. ამით მივაღწიეთ თანაბრად და კარგად განვითარებული ჩაის ნარგავების მიღებას. ახლა ეს პლანტაციები ჩაის ფოთლის მაღალ და მყარ მოსავალს გვაძლევენ. გასულ წელს ბრიგადამ მოსავლელად მიჩენილ 12 ჰექტარ სრულმოსავლიან ჩაის პლანტაციაში მოკრიფა 86.700 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ანუ 14.832 კილოგრამით მეტი, ვიდრე 1952 წელს. წლიური გეგმა 139,2 პროცენტით შეასრულა. მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 95,5 პროცენტი. საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 7.225 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვით ჩვენმა ბრიგადამ 1.225.000 მანეთი მიიღო, ფულადმა შემოსავალმა 1 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან 76.925 მანეთს მიაღწია.

თ. ყუფუნია

★

ჩაის პლანტაციების მაღალი და მყარი მოსავლიანობის საფუძველს წარმოადგენს ჩვენ მიერ შემუშავებული და გამოყენებული ჩაის პლანტაციების განოყიერების ახალი წესი. შე გულმოდგინედ შევისწავლე რესპუბლიკის მეჩაიეობის კოლმეურნეობების ნოწინავეთა გამოცდილება სასუქების გამოყენებაში. ბრიგადის წევრები იმ დასკვნამდე მივედით, რომ სასუქების უდიდეს ეფექტიანობას ვაღწევთ მხოლოდ მაშინ, როდესაც დაცულია პლანტაციებში მოვლის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. პრაქტიკამ ცხადყო, რომ მინერალური სასუქების შეტანის დიდ ეფექტიანობას ვაღწევთ იმ შემთხვევაში, როცა მინერალური და ორგანული სასუქები შეგვაქვს ერთად.

ჩაის პლანტაციებს თვითეულ ჰექტარზე შეგვაქვს 60 ტონა ნაკელი ან ტორფ-ფოსფოროვანი კომპოსტი 100-150 ტონა, ორგანული სასუქი საზამთრო გადაბარვის დროს 10-15 სანტიმეტრის სიღრმეზე. გარდა ამისა, ჩაის პლანტაციები ნოყიერდება რიგთაშორის დატოვებული ჩაის განასხლავი ორგანული მასალებით. ამასთანავე ვახდენთ ჩაის კულტურის ნავენტლებისა და ავადმყოფობის სრულ ლიკვიდაციას, განსაკუთრებით კი ჩაის ჩრჩილისა.

ორგანული სასუქების პერიოდულად შეტანისა და ყოველწლიურად განასხლავი მასალების პლანტაციებში დატოვების შედეგად ნიადაგი წლითიწლობით უფრო სტრუქტურული და ნაყოფიერი ხდება.

მინერალური სასუქებიდან ყველაზე მეტი მნიშვნელობა ეძლევა აზოტოვან სასუქებს. აზოტოვანი სასუქები შეგვაქვს უფრო დანაწილებულად, ვიდრე ეს გათვალისწინებულია აგროწესებით. მაგალითად, 1953 წელს ბრიგადამ აზოტოვანი სასუქის პირველი დოზა 1.500 კილოგრამი სულფატამონიუმის სახით მარტში შეიტანა, მეორე დოზა — 500 კილოგრამი — ივლისის დამდეგს, მესამე დოზა კი 300 კილოგრამი ამონიუმის გვარჯილის სახით — აგვისტოს დამლევს.

აზოტოვანი სასუქების შეტანის დროს დიდ ყურადღებას ვაქცევთ რიგთა შორის სასუქის თანაბრად განაწილებას 5-7 სანტიმეტრ სიღრმეზე. ამით თავიდან აცილებულია სასუქის დანაკარგები და უზრუნველყოფილია სწორი შეთვისება მცენარეების მიერ.

ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქები შეგვაქვს საზამთრო გადაბარვის ვადებში 10-15 სანტიმეტრ სიღრმეზე, კალიუმის სასუქი — ორ წელიწადში ერთხელ. შარშან ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე შევიტანეთ 800 კილოგრამი სუპერფოსფატი და 300 კილოგრამი კალიუმის მარილი.

ცნობილია, რომ ჩაის ბუჩქების გასხვლა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს აგროტექნიკურ ღონისძიებას ჩაის ფოთლის მაღალი მოსავლის მიღებად. ჩვენ ყოველწლიურად ვახდენთ შპალერულ გასხვლას. პრაქტიკულად დავიწმუნდით, რომ ჩაის ბუჩქის ღეროების ზედმეტი სიხშირე იწვევს ყლორტების წარმოშობის შემცირებას, მავნებლების და დაავადებათა მიერ ბუჩქების დიდ დაზიანებას და მოსავლიანობის შემცირებას. ამისათვის ჩაის ბუჩქების გასხვლის დროს ვაცილებთ ვარჯს, სუსტ, გამხმარ და დაზიანებულ ღეროებს. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად ჯერჯერობით არ გვხდება ჩაის ბუჩქების მძიმე გასხვლა.

ჩაის ბუჩქების გასხვლის საუკეთესო ვადად ჩვენს კოლმეურნეობაში მარტის მეორე ნახევარია. ეს ვადა გაორიცხავს გასხლული ბუჩქების ყინვებით დაზიანების შესაძლებლობას. შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ჩაის პლანტაციებში ნიადაგს ვამუშავებთ. პრაქტიკიდან ვიცით, რომ წლის განმავლობაში ჩაის ფოთლის სისტემატური კრეფის, აგრეთვე პლანტაციებში სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჩატარების შედეგად ჩაის პლანტაციების რიგთა შორის ნიადაგის ზედა ფენა იტკეპნება, ნიადაგის წყლისა და ჰაერის რეჟიმი უარესდება და დაჭანებულ კალთებზე ძლიერდება ჰუმუსიანი ზედაფენის ჩამორეცხვა. პლანტაციების რიგებს შუა ნიადაგის ზედა დატკეპნილ ფენას ყოველწლიურად ვაფხვიერებთ და ამით ვაჩერებთ ჩამორეცხვას, აგრეთვე ვებრძვით სარეველა მცენარეების განვითარებას, ზაფხულში ჩაის პლანტაციებს ოთხჯერ ვთოხნით და ვაფხვიერებთ 6 სანტიმეტრ სიღრმეზე. პირველად აპრილ-მაისში, მეორედ მაის-ივნისში, მესამედ ივნის-ივლისში და მეოთხედ ივლის-აგვისტოში. ამის შედეგად პლანტაციები გვაქვს მუდმივად ფხვიერ და სარეველებისაგან გაწმენდილ მდგომარეობაში.

როგორც ბრიგადირი, დიდ ყურადღებას ვაქცევ ბრიგადის დაკომპლექტებას, მუშახელის სწორად გამოყენებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას. ბრიგადაში სულ 59 კოლმეურნეა, აქედან 12 მამაკაცი, 30 ქალი და 17 მოზარდი. ბრიგადას მოსავლელად მიჩენილი აქვს 22,23 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, აქედან სრულმოსავლიანია 12 ჰექტარი, სხვადასხვა მრავალწლიანი ნარგავები — 30 ჰექტარი და სიმინდი — 15 ჰექტარი.

გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ ჩაის როგორც შრომატევადი კულტურის მოვლა-დამუშავება და ფოთლის კრეფა მიზანშეწონილია ვაწარმოოთ ბრიგადებს შიგნით რგოლურად. რგოლში ცალკეულ კოლმეურნეებს მოსავლელად მიჩენილი აქვთ ჩაის პლანტაციის გარკვეული ფართობი იმ ანგარიშით, რომ ამ ფართობებზე უზრუნველყოფილ იქნას ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დროულად და მაღალხარისხოვნად შესრულება.

ბრიგადა თავის დროზე ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. წელს ჩაის პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 6.688 კილოგრამი ჩაის ფოთოლი, სიმინდის ნათესის თვითეულ ჰექტარზე 47 ცენტნერი მარცვალი და გეგმით გათვალისწინებული 428 კილოგრამი აბრეშუმის პარკის ნაცვლად — 619 კილოგრამი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა შესანიშნავ სკოლას წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მუშაკებისთვის. უკეთესი კოლექტივები და მოწინავეები გამოფენაზე წარმოდგენილი არიან არა მარტო მიღებული საუკეთესო შედეგებით, არამედ ნაჩვენებია ის მეთოდებიც, რომლითაც მათ მიაღწიეს მაღალ მაჩვენებლებს. ეს კი საშუალებას გვაძლევს ფართოდ დავნერგოთ მოწინავეთა გამოცდილება. გავხადოთ იგი თვითეული კოლმეურნის კუთვნილება და შემდგომ წლებში მივაღწიოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მიღებას.

თამარ ყუფუნია,
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.



სახალხო სასამართლო სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე

ვ. მამალაძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

სოციალისტური კანონიერება საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს და უდიდეს როლს ასრულებს კომუნიზმის მშენებლობის ისტორიული ამოცანების გადაწყვეტაში.

კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვისათვის და ამით აღწევს იმას, რომ საბჭოთა კანონი, რომელშიც გამოხატულია ხალხის ნება, ჩვენი პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, განუხრელად სრულდებოდეს ყველა სახელმწიფო ორგანიზაციის, დაწესებულების, თანამდებობის პირისა და მოქალაქის მიერ.

სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურ როლს ასრულებს სახალხო სასამართლო — საბჭოთა სასამართლო სისტემის ძირითადი რგოლი. სახალხო სასამართლო იცავს ყოველგვარი ხელყოფისაგან საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, მეურნეობის სოციალისტურ სისტემასა და სოციალისტურ საკუთრებას, საბჭოთა მოქალაქის ოთლებებსა და ინტერესებს, სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს.

საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების განმტკიცება, მოსახლეობის კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება, მოქალაქეთა შეგნებულობის განუხრელი ზრდა იწვევს ჩვენს საზოგადოებაში დანაშაულის რიცხვის მკვეთრად შემცირებას. და თუ დანაშაულის ჩადენის ფაქტებს მაინც აქვს ადგილი, ეს იმით აიხსნება, რომ საბჭოთა ადამიანების ერთი ნაწილის შეგნებაში ჯერ კიდევ შემორჩენილია ბურჟუაზიული იდეოლოგიის ნაშთები, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის და მორალის გადმონაშთები. ეს გადმონაშთები გამოხატულებას პოულობენ ცალკეული მოქალაქეების მხრივ შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, სოციალისტური საკუთრების დატაცებით, ქურდობით, ხულიგნური მოქმედებით, სპეკულაციითა და სხვა ანტისაზოგადოებრივი საქმიანობით. ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის მავნე ნაშთების აღმოფხვრა, რაც უმთავრესად დარწმუნების გზით წარმოებს, მოითხოვს აგრეთვე სახელმწიფო იძულების ღონისძიებებს, რომლებსაც საბჭოთა სასამართლო ახორციელებს.

საბჭოთა სასამართლო, განუხრელად ატარებს რა კანონს, ულმობლად სჯის სამშობლოს მოღალატეებს, მავნებლებს, სოციალისტური ქონების დამტაცებლებს და ამით განამტკიცებს საბჭოთა საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას, ნის საფუძვლებს. სჯის რა ქურდებს, სპეკულანტებს, ხულიგნებს და სხვა დამნაშავეებს, ამით სახალხო სასამართლო წმენდს საბჭოთა საზოგადოებას ცალკეული პარაზიტული ელემენტებისაგან, რომლებიც ხელს უშლიან ჩვენს ხალხს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა სასამართლოს ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ, იყენებს რა სისხლის სამართლის სასჯელის ზომებს, იგი არა მარტო სჯის დამნაშავეებს, არამედ აგრეთვე მიზნად ისახავს დამნაშავეთა გამოსწორებასა და აღზრდას.

სახალხო სასამართლო მთელი თავისი საქმიანობით საბჭოთა მოქალაქეებს ზრდის საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველი მოპყრობის, შრომის დისციპლინის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, სოციალისტური თანაცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

საბჭოთა სასამართლოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაიცვას სსრ კავშირის მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებები და ინტერესები. მაგრამ ჩვენი სასამართლო იცავს საბჭოთა მოქალაქის არა მარტო უფლებებს, არამედ სიცოცხლეს, ღირსებას, ჯანმრთელობასა და პირად საკუთრებასაც. ამაში თავის გამოხატულებას პოულობს სოციალისტური სახელმწიფოს ზრუნვა საბჭოთა ადამიანისათვის, როგორც ჩვენს ქვეყანაში ყველაზე ძვირფასი კაპიტალისათვის.

ადამიანის სიცოცხლის დაცვისათვის საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 30 აპრილის ბრძანებულება, რომლითაც დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობისათვის დაწესებულია სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

საბჭოთა კანონის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სავალდებულოა ყველასათვის, მიუხედავად თანამდებობისა და დამსახურებისა. ამიტომ საბჭოთა სასამართლო სჯის ყველას, მიუხედავად პიროვნებისა, ვინც არღვევს საბჭოთა კანონს, არ ემორჩილება მის მოთხოვნებს, სჩადის უწესობას და თვითნებობას და ამით ცდილობს ხელი შეუშალოს საბჭოთა კანონიერების განმტკიცებას.

საბჭოთა სასამართლო ხელს უწყობს სახელმწიფო აპარატის მუშაობის გაუმჯობესებას. სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად სჯის რა სამსახურებრივი მოვალეობისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, მექრთამეობას და სხვა თანამდებობრივ დანაშაულობებს, სახალხო სასამართლო ხელს უწყობს საბჭოთა სახელმწიფო აპარატის შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა მოსამსახურეების აღზრდას კანონიერებისა და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცედ დაცვის სულისკვეთებით, მშრომელთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

იმისათვის, რომ წარმატებით იქნას გადაწყვეტილი ეს ამოცანა, საჭიროა სასამართლო თვით იძლეოდეს კარგი მუშაობის ნიმუშს, გულისხმიერი და სამართლიანი იყოს მოქალაქეთა მიმართ, არ დაუშვას ბიუროკრატიზმი და გაჭიანურება. ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის სასამართლოებში ყველაფერი რიგზე როდია. ზოგიერთ სახალხო სასამართლოში ვხვდებით საქმეების განხილვის დაუშვებელი გაჭიანურების, ბიუროკრატიზმის, მოქალაქეთა საჭიროებისადმი უსულგულო დამოკიდებულების ფაქტებს.

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების ამოცანაა აღმოფხვრან თავიანთი მუშაობის ეს ნაკლოვანებანი და მიაღწიონ სასამართლოებში მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებას.

საბჭოთა სასამართლო ხალხის სასამართლოა. საბჭოთა სასამართლოს განაჩენს ჩვენში ხალხის განაჩენს უწოდებენ. ეს გასაგებიცაა, რადგან კანონი, რომლითაც ხელმძღვანელობს, რომელსაც ეყრდნობა საბჭოთა სასამართლო, გამოხატავს ხალხის ნებას, მის ინტერესებს. სასამართლო შედგება ხალხის წარმომადგენლებისაგან, რომლებიც ხალხის მიერ აირჩევიან, ხალხის ნდობის ღირსნი არიან და ამომრჩევლებს ერთგულად ემსახურებიან. ამაშია საბჭოთა სასამართლოს ძალა და ავტორიტეტი, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო ყოველმხრივ განამტკიცებს. განაჩენი და გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელით. კანონიერ ძალაში შესულ განაჩენსა და გადაწყვეტილებას სახელმწიფო სთვლის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აქტად, აძლევს მათ საყოველთაო-სავალდებულო ხასიათს და ამით ერთგვარად კისრულობს პასუხისმგებლობას მათი შინაარსისათვის და უზრუნველყოფს მათს უსიტყვოდ შესრულებას.

აქედან გამომდინარეობს ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც აკისრია სახალხო სასამართლოს — სახალხო მოსამართლეებსა და სახალხო მსაჯულებს თვითეული განაჩენისა და გადაწყვეტილების გამოტანისათვის. ჩვენი მოსამართლეების დიდი უმრავლესობა ამ პასუხისმგებლობას გრძნობს და თავისი კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მუშაობით ამართლებს ხალხის ნდობას. ამავე დროს არიან ცალკეული სახალხო სასამართლოები, რომლებიც საჭირო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან საქმეს, დაბალ დონეზე მუშაობენ და გამოაქვთ კანონის შეუსაბამო განაჩენები და გადაწყვეტილებები. ასე იქცევიან, მაგალითად, ქლუხორის, ბოგდანოვკის, წითელწყაროს რაიონებისა და ზოგიერთი სხვა სახალხო სასამართლოები, რომელთა განაჩენებისა და გადაწყვეტილებების მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც უსწორო, უქმდება ზემდგომი სასამართლო ორგანოების მიერ.

იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების ამოცანაა აამაღლონ სახალხო სასამართლოების მუშაობის დონე, უზრუნველყონ სასამართლო საქმეების სწორი განხილვა, კანონიერი განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამოტანა და ამით ხელი შეუწყონ სოციალისტური კანონიერების შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა მართლმსაჯულების განხორციელებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სასამართლოს ორგანიზაციის დემოკრატიულ პრინციპებს. ამ პრინციპთა შორის აღსანიშნავია სასამართლოს არჩევითობა, რომელიც უზრუნველყოფს სსრ კავშირის მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას სახალხო სასამართლოს ორგანიზაციაში და განმტკიცებს სასამართლოს კავშირს მშრომელ მასებთან.

სახალხო სასამართლოს ხალხი ირჩევს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე. სასამართლოს მუშაობის შესახებ მოსამართლე ანგარიშს აბარებს ამომრჩევლებს, მოსახლეობას. თვითონ მოსამართლე თავის მოვალეობას არ ასრულებს, ამომრჩევლებს უფლება აქვთ უკან გამოიწვიონ იგი რწმუნების ვადის გასვლამდე. ყოველივე ეს ამაღლებს სასამართლოს ავტორიტეტს, ზრდის მის პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე.

დიდი პოლიტიკური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს სასამართლოების მუშაობაში სახალხო მსაჯულების მონაწილეობას. სახალხო მსაჯულების მონაწილეობა სასამართლო საქმეების განხილვასა და გადაწყვეტაში, სახალხო მოსამართლის თანაბარი უფლებით, არის მართლმსაჯულების განხორციელებაში მასების უშუალო მონაწილეობის ფორმა, სასამართლო საქმიანობისადმი მასების კონტროლის ფორმა, რაც ხელს უწყობს სასამართლოს მუშაობაში კანონიერების განმტკიცებას.

სასამართლოს მუშაობისადმი მასების კონტროლის ერთ-ერთ სამუალებას წარმოადგენს აგრეთვე ის, რომ სასამართლოში საქმეების გარჩევა წარ-

ნახევარი საუკუნის მანძილზე



სამხრეთ ოსეთის ეროვნული დრამატული თეატრის 50 წლისთავთან დაკავშირებით, თეატრალური ხელოვნების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მუშაკების ჯგუფს მიენიჭა საპატიო წოდებანი.

სურათზე: საქართველოს სსრ სახალხო არტისტები — დ. ი. მამიევი და ნ. ზ. ჩაბიევა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თეატრის მთავარი მხატვარი თ. ა. გაგლოევი.

დღეს სრულდება 50 წელი ოსური ეროვნული თეატრის დაარსებიდან. სამხრეთ ოსეთის მეზრომელები მთელ ქართველ ხალხთან ერთად დიდი სიხარულით აღნიშნავენ მშობლიური თეატრის სახელოვან წლისთავს.

ოსურ ეროვნულ თეატრს საფუძველი ჩაეყარა 1904 წელს თბილისში პატარა დრამატული წრის სახით.

ოსური ეროვნული დრამატული წრის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი პირველი ოსი დრამატურგის, გამოჩენილი დემოკრატი პოეტის კ. ხეთაგუროვის პიესებმა, რომლებმაც მოსწავლე ახალგაზრდობას სურვილი გაუღვიძეს ოსური წარმოდგენები გაემართა ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის სოფლებში.

1906 წელს თბილისში პირველად შეიქმნა „ოსური საგამომცემლო საზოგადოება", რომელმაც ხელი შეუწყო მუდმივმოქმედი ოსური დრამატული წრის დაარსებას. ამ წრემ 1906 წლის მაისში თბილისში გამართა პირველი წარმოდგენა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია მაყურებლებში. ნახალისებულმა დრამატულმა წრემ უფრო მეტი სიყვარულით გააჩაღა მუშაობა. წრე გაძლიერდა და განმტკიცდა ახალი ნიჭიერი ძალებით, რასაც დიდად უწყობდა ხელს ოსური ეროვნული დრამატურგიის განვითარება. წრემ 1908 წლიდან მუშაობა განაგრძო ავჭალის აუდიტორიაში, სადაც იმხანად მუშაობდა საკმაოდ ძლიერი ქართული დასი. ამ დასის მუდმივი დახმარებით და ხელშეწყობით ოსური დრამატული წრე ერთ მთლიან კოლექტივად იქცა. მას დიდ დახმარებას უწევდა ცნობილი ქართველი მსახიობი ნიკო გოცირიძე, რომელსაც დღესაც სიყვარულით იხსენებენ მისი მოწაფე ოსი მსახიობები. იგი არაფერს იშურებდა იმისათვის, რომ თეატრს ფრთები გაეშალა. ახალგაზრდა თეატრალური კოლექტივი გარდა ორიგინალური ოსური პიესებისა დგამდა ცაგარლის, ჩეხოვის, მოლიერის, ყაზბეგის, აზიანის, აწყურელის, ირთველის და სხვათა პიესებს.

პირველმა მსოფლიო ომმა და მენშევიკების უდღეურმა ბატონობამ დიდად დააქვეითა და თითქმის დაშლამდე მიიყვანა მშვენიერი დრამატული კოლექტივი.

მხოლოდ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი ოსური ეროვნული სახელმწიფო თეატრის შექმნა. დასი გაძლიერდა ახალი ნიჭიერი ძალებით. მან ენერგიულად და ღრმა სიყვარულით განაგრძო თავისი საქმიანობა მუშათა თეატრში. კოლექტივმა 1930-31 წლებში წარმოდგენების გამართვა დაიწყო მუშათა რაიონებში, აგრეთვე საგასტროლოდ ეწვია სამხრეთ ოსეთის რაიონებს.

1931 წლის შემოდგომიდან ქალაქ სტალინირში შეიქმნა მუდმივი სახელმწიფო პროფესიული თეატრი, რომელსაც კ. ხეთაგუროვის სახელი მიეკუთვნა. თეატრმა ნიჭიერი ახალგაზრდა ძალები სწავლისათვის და სასცენო ხელოვნების სრულყოფისათვის მიავლინა თბილისში რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრთან არსებულ სტუდიაში, შემდეგ ლენინგრადში, საიდანაც კურსდამთავრებული ახალგაზრდები დაუბრუნდნენ მშობლიურ თეატრს და დიდი სიყვარულით განაგრძეს ნაყოფიერი მუშაობა.

თეატრთან მჭიდრო შემოქმედებითს კავშირში აღიზარდნენ დრამატურგები მ. შავლოხოვი, ი. კავკაზაგი, დ. ჯიოევი, ვ. სანაკოევი, ა. მაკიევი, დ. თუაევი და სხვები.

1940 წლის ზაფხულში თბილისში გაიმართა სამხრეთ ოსეთის ხელოვნების დეკადა, რომელიც დიდი მოვლენა იყო ოლქის კულტურული ცხოვრების ისტორიაში. თეატრმა თბილისელ მაყურებელს უჩვენა თავისი სამი საუკეთესო დადგმა — „დუნია", „მწყემსის ბინა" და „ცეცხლი". ახალგაზრდა თეატრის დადგმებმა მაყურებლისა და პრესის მოწონება დაიმსახურა. პრესა აღნიშნავდა, რომ თეატრი თავისი მაღალმხატვრული შემოქმედებით

სურათზე: სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის შენობის ფასადი.

ფოტო ვ. უბოეენკოსი.

მოკლე ხანში გვერდში ამოუდგა მოწინავე თეატრებს.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრის მუშაკთა შემოქმედებითს წარმატებას. თეატრის 50 წლისთავთან დაკავშირებით მოწინავე მსახიობებს, რეჟისორებსა და მხატვრებს მიენიჭათ საქართველოს სსრ საპატიო წოდებები.

17 წლის მანძილზე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე თეატრმა მძიმე, მაგრამ შემოქმედებით მდიდარი გზა განვლო. ჭეშმარიტი ხალხური თეატრის სახელი მოიხვეჭა თეატრმა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 33 წლის განმავლობაში. მან შექმნა მკაფიო, ეროვნული სახე ოსური რეალისტური თეატრისა, რომელიც სამხრეთ ოსეთის ოლქის მშრომელთა დიდი სიყვარულით სარგებლობს. თეატრის რეპერტუარს, გარდა ოსური ორიგინალური პიესებისა, ამშვენებს ქართული, რუსული, უკრაინული და სხვა მოძმე ერების დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშები. თეატრის საეტაპო სპექტაკლებად შეიძლება ჩაითვალოს „ზდაპარი", „ოთარაანთ ქვრივი", „ფასას ოცნება", „ილიკო ფუხაევი" და სხვ.

ბევრი საინტერესო მხატვრული სახე შეუქმნიათ ამ თეატრის მსახიობებს. მაყურებელს არასოდეს დაავიწყდება რესპუბლიკის სახალხო არტისტის დ. მამიევის მიერ განხორციელებული როლები — ოტელოსი და პალატონ კრეჩეტისა და დიშოსი (ს. შანშიაშვილის „არსენადან").

წელს თეატრმა მორიგ პრემიერად უჩვენა დ. თუაევის პიესა „ობლების დედა". ამ პიესაში თემბოლის როლი ბრწყინვალედ განასახიერა დ. მამიევმა.

ამავე პიესაში ბაბალოს როლი დიდი ოსტატობით შეასრულა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა ნინო ჩაბიევამ, რომელსაც სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრში მრავალი დასამახსოვრებელი სცენიური სახე შეუქმნია.

სამხრეთ ოსეთის კ. ხეთაგუროვის სახელობის თეატრის ნიჭიერ კოლექტივს ყველა შესაძლებლობა აქვს კიდევ უფრო აამაღლოს თავისი ოსტატობა და ახალი მაღალიდეური, მაღალმხატვრული სპექტაკლებით თვალსაჩინო წვლილი შეიტანოს ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური კულტურის განვითარების საქმეში.

ი. შერაზადიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, თეატრის რეჟისორი და მსახიობი.

მოებს ღიად. საქმეების ღია სხდომებზე, ხალხის თანდასწრებით განხილვას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. ეს ამაღლებს მოსამართლეთა პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე, რაზმავს საზოგადოებრივ აზრს უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ, მათ აღმოსაფხვრელად.

საბჭოთა მართლმსაჯულების წარმატებით განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოსამართლის დამოუკიდებლობის კონსტიტუციურ პრინციპს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეთა გადაწყვეტისას მოსამართლე თავისუფალია ყოველგვარი გავლენისაგან, ხელმძღვანელობს კანონით და თავისი სოციალისტური მრწამსით, რომელიც დაფუძნებულია საქმეში არსებული მასალების სწორ შეფასებაზე.

საბჭოთა დემოკრატიზმის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენს ის, რომ სასამართლო ერთიანი და თანასწორია ყველა მოქალაქისათვის. დანაშაულის დადგენისა და სასჯელის განსაზღვრისას სასამართლოსათვის მნიშვნელობა არა აქვს სამართალში მიცემულთა სოციალურ, ქონებრივ თუ სამსახურებრივ მდგომარეობას, მის ეროვნულ და რასობრივ კუთვნილებას.

იმ მიზნით, რომ სასამართლოს წარმოება გასაგები და მისაწვდომი იყოს მშრომელთა ფართო მასებისათვის, სსრ კავშირის კონსტიტუციით აღიარებულია, რომ სასამართლო წარმოება ხორციელდებოდეს ეროვნულ ენაზე, ამასთანავე იმ პირთათვის, ვინც ეს ენა არ იცის, უზრუნველყოფილია სასამართლოში გამოსვლა თავის მშობლიურ ენაზე. ეს პრინციპი კიდევ უფრო აახლოებს სასამართლოს მასებთან და მშობლიურს ხდის მას ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის.

საბჭოთა სასამართლოს მთელი საქმიანობა და სასამართლოს ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპები მიმართულია იქითკენ, რომ უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცება, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და ინტერესების განუხრელად დაცვა და საბჭოთა მოქალაქეების აღზრდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ბრძოლის სულისკვეთებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ამა წლის 19 დეკემბერს დანიშნულია ჩვენი რესპუბლიკის სახალხო სასამართლოების მორიგი არჩევნები. არჩევნები ჩატარდება საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

სახალხო სასამართლოების არჩევნებს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მისი მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩატარება საბჭოთა და პარტიული ორგანოების საპატიო ამოცანას წარმოადგენს.

ორგანიზაციულად სახალხო სასამართლოების არჩევნებს აქვს თავისებურება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მთელი სამუშაო ეკისრება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები არ იქმნება. სახალხო სასამართლოს არჩევნების საარჩევნო ოლქი მოიცავს მთელ მოსახლეობას, რომელიც ამ სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე ცხოვრობს. საარჩევნო ბიულეტენების მაგიერად იქმნება საარჩევნო პუნქტები, ხოლო ხმების დასათვლელად — დამთვლელი კომისიები. ხმის მიცემის უფლების მოწმობები არ გაიცემა.

არჩევნებისათვის მზადების პერიოდში საჭიროა ფართოდ გავშალოთ საagიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა და იგი მჭიდროდ დავუკავშიროთ საბჭოთა ხალხის პოლიტიკური და შრომითი აქტივობის შემდგომი ამაღლების ამოცანებს. მშრომელებს უნდა განემარტოთ საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენი ქვეყნის წინაშე სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების დარგში და ის ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ მსოფლიოში მშვიდობის განსამტკიცებლად.

განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს საბჭოთა კანონების პროპაგანდას. მოსახლეობას ფართოდ უნდა გავაცნოთ საბჭოთა სასამართლოს ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპები, სასამართლოს როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ფართოდ უნდა მოეწყოს სახალხო მოსამართლეების ანგარიშგება მოსახლეობის წინაშე, ამომრჩევლების მიერ სახალხო სასამართლოების მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა. ეს ხელს შეუწყობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

სახალხო სასამართლოების მომავალ არჩევნებში საბჭოთა ხალხი ხმას მისცემს კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. სახალხო მოსამართლეებად და სახალხო მსაჯულებად ხალხი წამოაყენებს და აირჩევს თავის საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებსაც აქვთ საკმაო ცოდნა, ცხოვრებას გამოცდილება, უნარი განუხრელად განახორციელონ საბჭოთა კანონი და თავიანთი უმწიკვლო ყოფაქცევით სხვებს განსჯის არა მარტო ფორმალური, არამედ მორალური უფლებაც.

სახალხო სასამართლოების ახალი არჩევნები კიდევ უფრო აამაღლებს სასამართლოს ავტორიტეტს, მის როლს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. იგი ერთხელ კიდევ ცხადყოფს საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის ცხოველმყოფელ ძალას, მის განუხრელ განვითარებას. არჩევნები კვლავ გვიჩვენებს ჩვენი ხალხის ერთსულოვნებას, მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო მის მჭიდრო დარაზმულობას.

უღან-ბაგორს ჩავიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობაზე

ულან-ბატორი, 19 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ ულან-ბატორს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XII ყრილობაზე. დელეგაციაში შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე პ. ტ. კომაროვი (დელეგაციის ხელმძღვანელი) და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ა. ა. სმირნოვი.

დელეგაციას ვაგზალზე შეხვდნენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები დამბა, დუგურსურუნი, ჟამბალდორჟი, ცედენბალი, შირენდიბი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პისარევი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩები.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლები, რომლებიც ყრილობაზე ჩამოვიდნენ.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ი. კ. პაასიკივის ლენინის ორდენი გადაეცა

ჰელსინკი, 18 ნოემბერი. (საკდესი.). ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ი. კ. პაასიკივიმ დღეს მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელიც ფინეთში იმყოფება. სსრ კავშირის ელჩმა ფინეთში ვ. ზ. ლებედევმა პრეზიდენტს წარუდგინა დელეგაციის წევრები. დელეგაციის ხელმძღვანელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოთა თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი მიესალმა პრეზიდენტს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით გადასცა ლენინის ორდენი, რომლითაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა ი. კ. პაასიკივი დაზავების შესახებ შეთანხმების ათი წლისთავთან დაკავშირებით და იმ თვალსაჩინო წვლილის აღსანიშნავად, რომელიც მან შეიტანა საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ა. პ. ვოლკოვმა წაიკითხა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვის წერილი ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ი. კ. პაასიკივისადმი.

წერილში კ. ე. ვოროშილოვი ულოცავს პრეზიდენტ ი. კ. პაასიკივის და ჯანმრთელობასა და მხნეობას უსურვებს შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ფინეთის საკეთილდღეოდ, ფინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისა და განვითარების საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა მადლობა გადაიხადა ყურადღებისათვის.

პრეზიდენტ ი. კ. პაასიკივისათვის ლენინის ორდენის გადაცემას დაესწრნენ: სეიმის თავმჯდომარე კ. ა. ფაგერჰოლმი, პრემიერ-მინისტრი უ. კეკონენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ი. ვიროლაინენი, პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი.

ორდენის გადაცემის შემდეგ პრეზიდენტ ი. კ. პაასიკივის დელეგაციის წევრებთან ჰქონდა საუბარი, რომელმაც გულითადობის ვითარებაში ჩაიარა.

ნერუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოგზაურობის შესახებ

დელი, 18 ნოემბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი" წერს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ 17 ნოემბერს სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიის პარლამენტის ფრაქციის წევრთა წინაშე და განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მისმა ვიზიტმა და ინდოეთში ჯოუ ენ-ლაის ჩასვლამ ხელი შეუწყო აზიის ამ ორი დიდი ქვეყნის დაახლოებას. ნერუმ რწმენა გამოთქვა, რომ ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრობა ხელს შეუწყობს მშვიდობის დამყარებას არა მარტო აზიაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც.

ნერუმ, განაგრძობს გაზეთი „ჰინდუსტან სტანდარდი", კვლავ ხაზგასმით აღნიშნა იმ ხუთი პრინციპის მნიშვნელობა, რომლებსაც შეიცავს მისი და ჯოუ ენ-ლაის ერთობლივი განცხადება, რადგან ეს პრინციპები აწესრიგებენ ურთიერთობას იმ ქვეყნებს შორის, რომლებსაც ორი ათასი მილი საერთო საზღვარი აქვთ.

შეეხო რა ტაივანის საკითხს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ჩინელ ხალხს სრულიად გარკვეული შეხედულება აქვს ტაივანის შესახებ. მან აგრეთვე დასძინა, რომ წინანდელი საერთაშორისო შეთანხმებანი ცნობილნენ, რომ ტაივანი ჩინეთს ეკუთვნის.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საპასუხო ნოტა საბჭოთა მთავრობის 1954 წლის 13 ნოემბრის ნოტაზე

ბუდაპეშტი, 18 ნოემბერი. (საკდესი). დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის განყოფილებამ გამოაქვეყნა უნგრეთის მთავრობის საპასუხო ნოტა საბჭოთა მთავრობის ამა წლის 13 ნოემბრის ნოტაზე.

საპასუხო ნოტაში ნათქვამია:

„უნგრელი ხალხი მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხებთან ერთად აღფრთოვანებითა და იმედით მიესალმა იმას, რომ საბჭოთა კავშირმა ბერლინის თათბირზე შეიტანა წინადადება — დაიდოს ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივამ და წინადადებებმა გერმანიის და სხვა საკითხების მოწესრიგების შესახებ, კვლავ გააძლიერა მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის შესაძლებლობა და დიდად შეუწყო ხელი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას.

უნგრეთის მთავრობა, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის განვითარების გადამწყვეტი პირობაა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება, განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებს თვალს და ენერგიულად უჭერს ხელს ყველა ღონისძიებასა და წინადადებას, რომელიც კი ემსახურება მშვიდობის საქმეს.

უნგრეთის ისტორიის გაკვეთილები მოწმობენ, რომ გერმანელთა მისწრაფება ბატონობისადმი საუკუნეების განმავლობაში აბრკოლებდა უნგრეთის ეროვნული დამოუკიდებლობისა და ეროვნული კულტურის განვითარებას, და უკანასკნელ ხანს, ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე, ორჯერ დაატეხა თავს უნგრეთს გაანადგურებელი ომები. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ითვალისწინებს, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს უნგრელი ხალხისათვის საშიში გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და ავსტრიის ახალი ძალდატანებითი შეერთება, და ესწრაფვის შეიქმნას გარანტია გერმანიის განახლებული აგრესიული ზრახვების წინააღმდეგ.

ამავე მისწრაფებით — თავიდან აიცილოს გერმანიის ახალი აგრესია — ხელმძღვანელობდა უნგრეთის მთავრობა მაშინაც, როცა ხუთ წელზე მეტი ხნის წინათ დადო მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირთან და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსთან. ამ ორმხრივ ხელშეკრულებებთან ერთად, ევროპის ყველა სახელმწიფოს ხელშეკრულება კოლექტიური უშიშროების შესახებ შემდგომი ქმედითი გარანტია იქნებოდა იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება და სამხედრო კონფლიქტები. ამის განხორციელების ინტერესებისათვის უნგრეთის მთავრობამ თავის განცხადებებში არაერთგზის აღნიშნა და მთელი თავისი საქმიანობით დაამტკიცა, რომ სურს მონაწილეობა მიიღოს ხალხთა შორის თანამშრომლობის გაფართოებაში და ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნაში.

უნგრეთის მთავრობის აზრით ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა განხორციელება აღორძინებდა გერმანიის მილიტარიზმს, გააძლიერებდა ახალი ომის საფრთხეს, გაამწვავებდა ევროპის სადავო საკითხების, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის საკითხის მოწესრიგებას, შექმნიდა დაბრკოლებებს ევროპის სახელმწიფოების განვითარებაში. მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოები გულხელდაკრეფილი ვერ უყურებენ ამას.

ამიტომ უნგრეთის მთავრობას, საბჭოთა კავშირთან სრული შეთანხმებით, საჭიროდ და გადაუდებლად მიაჩნია, რომ ევროპის ხალხებმა დაიწყონ მოლაპარაკება მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების ნიჭნით, და დიდი და მცირე ხალხების ინტერესებისათვის, — გამალებული შეიარაღების ნაცვლად, — შექმნან ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა.

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა თანახმაა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მიწვევაზე და მზად არის მონაწილეობა მიიღოს თათბირში, რომელიც მოწვეულ იქნება 29 ნოემბერს მოსკოვში ან პარიზში, რათა თავისი აქტიური მონაწილეობით ხელი შეუწყოს ევროპის ხალხების საერთო მიზანს — მშვიდობას.

უნგრეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ მიწვეული მთავრობები, შეიგნებენ რა იმ საფრთხეს, რომელსაც წარმოადგენს ატომური იარაღით შეიარაღებული გერმანიის რევანშისტული არმია, გაითვალისწინებენ თავიანთი ხალხების ნამდვილ ინტერესებს და თავიანთი მონაწილეობით ხელს შეუწყობენ თათბირის წარმატებას, ახალი ომის თავიდან აცილებას და ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნას.

საბჭოთა კავშირი გვიჩვენებს ახალი ომის თავიდან აცილების კონკრეტულ გზას!

ი. კოპლენიგის მოხსენება ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ვენა, 18 ნოემბერი. (საკდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, 14 და 15 ნოემბერს ვენაში გაიმართა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელზეც პოლიტიკური მდგომარეობისა და კომპარტიის ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ იოჰან კოპლენიგმა.

გაზეთ „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმეში" გამოქვეყნებულია ი. კოპლენიგის მოხსენება.

სათემო საბჭოების, ლანდტაგებისა და მუშა-მოსამსახურეთა პალატების არჩევნების ნიშნველოვანი შედეგია, თქვა კოპლენიგმა, „დამოუკიდებელთა კავშირის" სერიოზული დამარცხება. დამარცხება ამ ჯგუფისა, რომელიც ავსტრიაში მოქმედებს, როგორც გერმანიის მილიტარიზმის აშკარა აგენტურა, აგრეთვე სერიოზული ლახვარია მთავრობის პარტიების პოლიტიკისათვის. მთავრობის პარტიების პოლიტიკური ზრახვა ის იყო, რომ, ერთი მხრივ, „დამოუკიდებელთა კავშირი" — რეაქციის ეს დაკვრელი ჯგუფი — შეეყვანათ მთავრობის სისტემაში და, მეორე მხრივ, გაეძევებინათ პარლამენტის დაწესებულებებიდან კომუნისტები, „ავსტრიის სახალხო ოპოზიცია". ამას საგანგებით აშკარად აცხადებდნენ სოციალისტური პარტიის ლიდერები საარჩევნო კამპანიის დროს. ეს ზრახვა ჩაიფუშა. არჩევნებმა კვლავ ცხადყო, რომ შეუძლებელია „ავსტრიის სახალხო ოპოზიციის" გარიცხვა პარლამენტიდან, რომ კომუნისტები მჭიდროდ არიან დაკავშირებული მასებთან, მაშინ, როცა „დამოუკიდებელთა კავშირი", რომელსაც ყოველნაირად უჭერენ მხარს მთავრობის პარტიები, სასტიკად დამარცხდა.

უკანასკნელი თვეების ამბები, განაგრძო კოპლენიგმა, ცხადყოფს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს, მიუხედავად „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" ვეგმის ჩაფუშვისა, განზრახული აქვთ ააღორძინონ გერმანიის მილიტარიზმი და კვლავ გადააქციონ დასავლეთი გერმანია აგრესიისა და ომის კერად ევროპაში. დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ ლონდონსა და პარიზში მიღებულ გადაწყვეტილებათა შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა ახალი ანშლუსის საფრთხე ავსტრიისათვის.

ვინც ესწრაფვის გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას, ხაზგასმით აღნიშნა კოპლენიგმა, მას არა სურს თავისთავადი და დამოუკიდებელი ავსტრია, რადგან გერმანიის მილიტარიზმი დამოუკიდებელი ავსტრიის მოსისხლე მტერია. იმან, ვისაც სურს დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრია, ევროპის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად უნდა გაიაროს ბრძოლა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ევროპის გულში ომის კერის აღორძინების წინააღმდეგ. ლონდონისა და პარიზის გადაწყვეტილებათა მიღების შემდეგ ბრძოლა გერმანიის ახალი ვერმახტის წინააღმდეგ და სრულიად ევროპის უშიშროების სისტემისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა, ახალ სტადიაში შევიდა. 13 ნოემბრის ნოტაში საბჭოთა მთავრობამ მთელი დამაჯერებლობით მიაქცია დასავლეთის სახელმწიფოთა ყურადღება დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების სერიოზულ შედეგებს. თავისი წინადადებებით საბჭოთა კავშირი გვიჩვენებს ახალი ომის თავიდან აცილების კონკრეტულ გზას.

საბჭოთა კავშირის წინადადებას, რომ ამ თვის დამლევს მოეწყოს ევროპის ყველა ქვეყნის თათბირი კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის საკითხზე, განაცხადა კოპლენიგმა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ავსტრიისთვისაც.

დასასრულს კოპლენიგი შეეხო ავსტრიის კომუნისტური პარტიის მორიგ ამოცანებს.

რამდენიმე თვის შემდეგ, თქვა, კერძოდ, კოპლენიგმა, ჩვენ აღვნიშნავთ მეათე წლისთავს მას შემდეგ, რაც საბჭოთა არმიამ ავსტრია გაათავისუფლა ჰიტლერელთა ბატონობისაგან. ჩვენი პარტიისა და ყველა დემოკრატიული ორგანიზაციის ამოცანაა — განთავისუფლების დღე გადააქციონ იმის მძლავრ დემონსტრაციად, რომ ჩვენს ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი ძალღონით იბრძოლოს ახალი ანშლუსის საფრთხის წინააღმდეგ, თავისუფალი, დემოკრატიული და დამოუკიდებელი ავსტრიისათვის.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია

სტოკჰოლმი, 18 ნოემბერი. (საკ-დესის სპეც. კორ.). დღეს სტოკჰოლმში გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სესია. სესიაზე ჩამოვიდა ყველა კონტინენტის ქვეყნების მშვიდობისათვის მებრძოლთა მრავალი წარმომადგენელი. სესიის პრეზიდიუმში აღგილებს იკავებენ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეზიდიუმის წევრები. სესია გახსნა შვეიციის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ერთ-ერთმა თავმჯდომარემ ფროლიხერმ მოღვაწემ მღვდელმა სვენ ჰექტორმა, რომელიც თავმჯდომარეობდა ამ პირველ სხდომას.

ჰექტორი მოკლე სიტყვით მიესალმა სესიის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ, მიუხედავად ზოგიერთი სიძნელისა, სესია დასასრულ ვადაზე გაიხსნა. ორატორმა კმაყოფილებით აღნიშნა აგრეთვე შვეიციის ხელისუფალთა კეთილმოსურნე დამოკიდებულება სტოკჰოლმში სესიის მოწვევისადმი. ეს დამოკიდებულება, თქვა მან, მოწმობს ამ კრების წინაშე დასახული მაღალი მიზნების პატივისცემას, კრებისა, რომლის მონაწილენი დარწმუნებული არიან, რომ საჭიროა ყველა ქვეყნის თანამშრომლობა. ეს მიზანი შეეფერება შვედი ხალხის მისწრაფებას მშვიდობისადმი, მის სურვილს განახორციელოს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა და მხარი დაუჭიროს ყოველ წამოწყებას, რომელიც ხელს უშლის მტრული ბლოკების შექმნას და ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას.

ჰექტორმა აღნიშნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის წარმატებანი, როგორიც იყო ომის შეწყვეტა კორეასა და ინდოჩინეთში, საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენელება. მან განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმას, რომ შვედი ხალხი, რომელსაც თუმცა ორი მსოფლიო ომის უბედურება არ განუცდია, მაგრამ სახელოვანი სამშვიდობო და კულტურული ტრადიციები აქვს, მშვიდობისადმი მტკიცე მისწრაფებას იჩენს.

ორატორმა შემდეგ აღნიშნა საფრთხე, რასაც საყოველთაო მშვიდობასა და უშიშროებას უქმნიან სამხედრო ბლოკები და, კერძოდ, ლონდონსა და პარიზში ამას წინათ დადებული შეთანხმებანი დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების შესახებ.

ჰექტორმა აღნიშნა, რომ გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრით, დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის გაერთიანებით განსაკუთრებით დაინტერესებული არიან ბალტიის აუზის ქვეყნები, რადგან გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება უშუალო საფრთხეს უქმნის ამ ქვეყნების მშვიდობასა და უშიშროებას.

მშვიდობის ყველა მომხრის საერთო ღონისძიებათა მიზანი, განაგრძო ორატორმა, ამ მომენტში უნდა იყოს მშვიდობის შენარჩუნება. რასების, რეჟიმების განსხვავება არ შეიძლება იყოს მშვიდობის შენარჩუნებისა და თანამშრომლობის ხელის შემშლელი. ამ ცოტა ხნის წინათ შვეიციის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ინიციატივით გაიმართა „მშვიდობის რეისი“. ამ მოგზაურობის მონაწილეებს, რომლებიც სხვადასხვა პარტიასა და ორგანიზაციას ეკუთვნიან, ენთუზიაზმით შეხვდნენ ბალტიის აუზის სხვადასხვა ქვეყანაში. ილაპარაკა რა იმაზე, რომ საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა, ჰექტორმა თქვა, რომ ყველა საერთაშორისო პრობლემა უნდა გადაიჭრას სხვადასხვა პოლიტიკური კონცეფციისაგან დამოუკიდებლად. ხალხები უნდა გაერთიანდნენ, რათა გამოიბნინონ საერთო პრობლემების გადაჭრა და აღმოიფხვრან მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შემდგომ შენელებას.

დაე ეს სესია, თქვა მან დასასრულ, გახდეს საწყისი პუნქტი იმ ძალების ახალ გამარჯვებათა გზაზე, რომლებიც იცავენ ხალხთა მშვიდობასა და თანამშრომლობას.

ამბროჯო დონინის მოხსენება

შემდეგ დღის წესრიგის პირველ პუნქტზე „ევროპის ყველა ქვეყნის თანამშრომლობა მათი საერთო უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით“ მოხსენება გააკეთეს რომის უნივერსიტეტის პროფესორმა სენატორმა ამბროჯო დონინიმ და საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატმა ქალბატონ დე შამბრენმა.

დონინიმ თავისი მოხსენების დასაწყისში აღნიშნა მიზეზები საერთაშორისო მდგომარეობის დაძაბულობის შენელებისა, რაც უკანასკნელ დროს აღინიშნა, და თქვა, რომ ევროპის თანამშრომლობის წარმატებამ შექმნა იმ სადავო საერთაშორისო პრობლემების წარმატებით გადაწყვეტის ახალი წინაპირობები, რომლებიც გადაჭრას ელოდებიან.

ევროპაში მშვიდობისა და თანამშრომლობის ეს ახალი პერსპექტივები, განაგრძო დონინიმ, უფრო გაფართოვდა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ უარყო ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ. დონინიმ აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულების უარყოფა უწინარეს ყოვლისა საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის გამარჯვება იყო. მაგრამ ეს იყო აგრეთვე ყველა ქვეყნის მშვიდობის ყველა მეგობართა გამარჯვება. ეს არის მშვიდობის დაცვის საერთაშორისო მოძრაობის შედეგი.

ყველა ამ მოვლენამ, თქვა დონინიმ, გზა გაუხსნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის უზრუნველყოფას. „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელშეკრულების უარყოფამ დასახა ერთიანი, დემოკრატიული გერმანიის შექმნის გზა.

შემდეგ დონინიმ ილაპარაკა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებებზე დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ და აღნიშნა, რომ მათ მეტად გარკვეული დანიშნულება აქვთ. ამ შეთანხმებათა მიზანი ის არის, თქვა დონინიმ, რომ განამტკიცონ ევროპისა და გერმანიის გათიშვა, შეაიარაღონ დასავლეთი გერმანია და შექმნან ხალხების ატომით გაღლეტისა და ცივილიზაციის მოსპობის საფრთხე. დონინიმ აღნიშნა იმ ფაქტის „უაზრობა დიპლომატიური და პოლიტიკური თვალსაზრისით“, რომ ხსენებულ შეთანხმებებში გამეორებულია ზოგიერთი დებულება ხელშეკრულებისა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ, რომელიც უარყვეს საფრანგეთის ხალხმა და პარლამენტმა. დაიმოწმა რა ოქმი, რომელიც აწესებს იმ არმიების რაოდენობას, რომლებიც ატლანტიკის სარდლობას უნდა გადასცენ ახალი „დასავლეთ ევროპის კავშირის“ მონაწილე ქვეყნებმა, დონინიმ აღნიშნა, რომ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი იწვევენ უცხოეთის ჩარევას ამ ქვეყნების საშინაო ცხოვრების მეტად დელიკატური და რთული პრობლემების გადაჭრაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს გენერალ გრიუნტერს მიეცემა „დასავლეთ ევროპის კავშირის“ შეიარაღებული ძალების სარდლობა. მას უფლება ექნება ინსპექცია და კონტროლი გაუწიოს მონაწილე ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს და იმის უფლებაც კი ექნება, რომ პირდაპირ ჩაერიოს მათს საშინაო ცხოვრებაში. ამრიგად, ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა საფუძველზე იქმნება მძიმე სამხედრო მანქანა, რომელიც არ დაემორჩილება არავითარ დემოკრატიულ კონტროლს და რომელიც გადამწყვეტ გავლენას მოახდენს ქვეყნების ცხოვრების არა მარტო სამხედრო, არამედ აგრეთვე პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ, ეკონომიურ და ფინანსურ დარგებზე და, მაშასადამე, საფრთხეს შეუქმნის ეროვნულ სუვერენიტეტს.

დონინიმ იღაპარაკა აგრეთვე ამ შეთანხმებათა საშიშ პირობაზე, რომელიც ითვალისწინებს ავტომატურ ჩარევას იმ შემთხვევებში, როცა ვინმე „ხელყოფს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის მთლიანობას“, რომლის მონაწილე ახლა დასავლეთი გერმანიაც არის. ეს პირობა იმას ნიშნავს, რომ თუ იტალიამ და საფრანგეთმა გადაწყვიტეს გავიდნენ ატლანტიკის კავშირიდან, სხვა ქვეყნება მოვალენი არიან ავტომატურად გაილაშქრონ და გამოიყენონ ძალა, რათა არ დაუშვან ამ ბლოკის „მთლიანობის დარღვევა“.

დონინიმ ხაზგასმით აღნიშნა ატლანტიკის ბლოკის აგრესიული ხასიათი და მოაგონა სხდომის, რომ ამას, კერძოდ, მოწმობს ის ფაქტი, რომ უარყვეს საბჭოთა კავშირის წინადადება ბლოკში შესვლის შესახებ. ამ ბლოკის მთავარი ძალა იქნება არმია, რომელსაც ახლა აღორძინებენ დასავლეთ გერმანიაში და რომელსაც გადასცემენ ყოფილ ჰიტლერელ გენერალთა სარდლობაში. დონინიმ მოიყვანა ერთ-ერთი ყოფილი ჰიტლერელი გენერლის შტაინერის სიტყვები, რომ „სს-ელთა ჯარები მომავალი ჯარებისათვის ნიმუში უნდა იყოსო“.

დაახასიათა რა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი, დონინიმ თქვა, რომ ისინი უშუალო საფრთხეს უქმნიან ევროპის მშვიდობასა და უშიშროებას. დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საშიშროებას მთელი რიგი ახალი გაძლიერებული საშიშროებანი მოჰყვა. ეს შეთანხმებანი ამკვიდრებენ გერმანიის გათიშვას, აღორძინებენ რევანშისტულ არმიას ყოფილი ჰიტლერელი გენერლების სარდლობით. ისინი ხელს უშლიან იმას, რომ ევროპის ცენტრში შეიქმნას თავისუფალი და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფო. ისინი აბრკოლებენ იმას, რომ ევროპაში შეიქმნას კოლექტიური უშიშროების საერთო სისტემა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ დიდი და პატარა ქვეყნები. დასასრულ, ისინი ამკვიდრებენ მთელი მსოფლიოს გათიშვას ბლოკებად. ეს შეთანხმებანი ეწინააღმდეგებიან ზოგიერთ ხელშეკრულებას, რომლებიც დაიდო მეორე მსოფლიო ომის დროს და მის დასასრულს, კერძოდ, საბჭოთა კავშირს, საფრანგეთსა და ინგლისს შორის დადებულ ხელშეკრულებებს.

ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი, ხელშეკრულებანი, ოქმები, განაგრძო დონინიმ, წარდგენილია დაინტერესებული ქვეყნების პარლამენტების დასამტკიცებლად. ლაპარაკობენ აჩქარებაზე, რომლითაც ამ ქვეყნების მთავრობები ცდილობენ ამ შეთანხმებათა რატიფიკაციას. მაგრამ ეს აჩქარება არ შეესაბამება რეალურ შესაძლებლობას. სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ ეს რატიფიკაცია გარდუვალია, რომ მისი თავიდან აცილება არ შეიძლება. გაუბედაობა და ყოყმანი ეტყობა საფრანგეთს, იტალიას და გერმანიასაც კი, ადენაუერის კოალიციას და სოციალ-დემოკრატებს. მე მგონია, რომ ამ ყოყმანმა გაგელვა მოახდინა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამას წინათ მომხდარი არჩევნების შედეგებზეც. მშვიდობისათვის ბრძოლაში ხალხის ძალების გამარჯვება შესაძლებელია, და ამას ამტკიცებს ბრძოლა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ წინააღმდეგ. მას განსაზღვრავს ევროპის გათიშვის წინააღმდეგ, გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღებას გეგმების წინააღმდეგ ბრძოლის, ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფისათვის ბრძოლის შესაძლებლობა.

საბჭოთა მთავრობის მიმდინარე წლის 13 ნოემბრის ნოტა მოითხოვს, რომ 29 ნოემბერს პარიზში ან მოსკოვში მოიწვინონ ევროპის ყველა ქვეყნის თანმხრი ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა უნდა დაესწროს, ორგორც მეთვალყურე. ამ ნოტამ ფართო გამოხმაურება გამოიწვია ყველა ქვეყნის საზოგადოებრიობაში. იგი ამ სესიაზე ევროპის კოლექტიური უშიშროების, ერთიანობისა და მშვიდობის პრობლემის შესწავლის კონკრეტული საფუძველია.

დონინიმ შემდეგ აღნიშნა, რომ მშვიდობის მომხრეთა ამოცანა ახლა ის არის, რომ განიხილონ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციის, არა მარტო მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ძალების, არამედ იმ ძალების მობილიზაციის ყველა შესაძლებლობა, რომელნიც პარალელურ მუშაობას ეწევიან, რათა მიღწეულ იქნას კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნა. ახლანდელი სესიის ცენტრალური პრობლემა უნდა იყოს ევროპის მშვიდობისა და უშიშროების პრობლემა, რადგან ამ პრობლემის გადაჭრაზე დამოკიდებულია ყველა დანარჩენი პრობლემა. არ შეიძლება განზე გავდგეთ და თვალყური ვადევნოთ ამბების მსვლელობას. არ შეიძლება ყველაფერი თვითდინებას მივცეთ. საჭიროა ეიბრძოლოთ მოლაპარაკებისათვის.

ჩვენ გვეუბნებიან:

„პარალელური მოლაპარაკებაო“.

მაგრამ ჩვენ არ გვინდა ისეთი მოლაპარაკება, როცა პარალელურად ლაპარაკობენ გერმანიის შეიარაღებისა და მის განიარაღებაზე, ერთიანობისა და გათიშვაზე, მშვიდობისა და ომზე. ჩვენ გვინდა, რომ მოლაპარაკება პარალელურად წარმოებდეს ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის გერმანიის საკითხზე და ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის ევროპის უშიშროებაზე. მოლაპარაკება ახლავე უნდა დაიწყოს. ჩვენ ვიცავდით მოლაპარაკების პრინციპს, როცა აზიაში ომები მიმდინარეობდა. ახლა ეს საკმარისი აღარ არის. უნდა დავიცვათ დაუყოვნებლივ მოლაპარაკების პრინციპი, დავიწყოთ ცენტრალური პრობლემით — ევროპის კოლექტიური უშიშროების პრობლემით.

დასასრულ დონინიმ თქვა, რომ საჭიროა გადვითვალისწინოთ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წინანდელი სესიების მუშაობის გამოცდილება, რათა გამოვნახოთ სასუკეთესო გზები და მივაღწიოთ იმ თათბირის მოწვევას, რომელსაც საბჭოთა კავშირი მოითხოვს, აგრეთვე არ დაუშვათ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია. კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის საბრძოლველად უნდა დავრაზმოთ არა მარტო მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის ძალები, არამედ ის ძალებიც, რომლებიც მზად არიან მხარი დაუჭირონ ამას.

ევროპაში კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნისათვის, გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის საბრძოლველად უნდა დავრაზმოთ მთელი ძალები, რომლებიც ყველა ქვეყანაში მოიპოვება.

„ჩვენ უნდა მოვითხოვოთ დაუყოვნებლივი მოლაპარაკება“

დე შამბრენის მოხსენება

სტოკჰოლმი, 19 ნოემბერი. (საკ-დესის სპეც. კორ.). როგორც უკვე ვიუწყებოდით, გუშინ სესიაზე მოხსენება დღის წესრიგის პირველ პუნქტზე გააკეთა საფრანგეთის პარლამენტის დეპუტატმა ქალბერ დე შამბრენმა. იგი შეეხო გერმანიის პრობლემის ზოგიერთ მხარეს, ილაპარაკა ფრანგი ხალხის ბრძოლაზე „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ ხელშეკრულების წინააღმდეგ. მან თქვა, რომ ამ ხელშეკრულების ჩაშლის შემდეგ დადებულმა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებებმა გამოიწვიეს იმედის გაცრუება, რადგან ისინი ეწინააღმდეგებიან მშვიდობისადმი ხალხების მტკიცე მისწრაფებას, ხალხებისა, რომლებიც ვერ ურიგდებიან აზრს, რომ შეთანხმებანი შეიძლება დამტკიცდეს უფრო ადრე, ვიდრე მოხდება საერთო მოლაპარაკება, რომელიც შესაძლებელს გახდის გერმანიის პრობლემის გადაჭრას.

იმ მომენტში, როცა აღინიშნა საერთაშორისო-მდგომარეობის დაძაბულობის შენელება, განაგრძო დე შამბრენმა, რაცა მთელი მსოფლიო ფიქრობდა, რომ დადგა გადამწყვეტი მოლაპარაკებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის დამყარების დრო, რამდენიმე კვირის წინათ კვლავ შეეცადნენ ცალმხრივად შეეიარაღებინათ დასავლეთი გერმანია ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა ფორმით.

ამ შეთანხმებებს პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ხასიათი აქვთ. სამხედრო შეთანხმებათა მიზანია მისცენ დასავლეთ გერმანიას დამოუკიდებელი არმია, აღორძინონ მისი სამხედრო-სამრეწველო პოტენციალი, შეიყვანონ იგი ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირსა და ბრიუსელის სამხედრო ბლოკში.

ორატორმა აღნიშნა, რომ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა საფუძველი არ განსხვავდება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ საფუძვლისაგან, და ისინი ისეთსავე საფრთხეს წარმოადგენენ, როგორსაც ეს ხელშეკრულება. ორივე ამ შემთხვევაში საქმე ეხება დასავლეთ გერმანიის ცალმხრივ შეიარაღებას.

საფრანგეთის საზოგადოებრიობის ფართო ფენები, თქვა დე შამბრენმა, ამ შემთხვევაში არ ტყუვდებიან. სხვადასხვა საზოგადოებრივმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მაშინვე გაილაშქრეს ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ, რომლებიც იწვევენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღებას, რის წინააღმდეგაც ისინი იბრძოდნენ.

პირიქით, ოფიციალური წრეები, როცა მათ მიუთითებენ ამ დოკუმენტების საფრთხეზე, მოულოდნელ მოსაზრებებს იმიზეზებენ. კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ საბჭოთა მთავრობა ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა წინააღმდეგ თითქოს მხოლოდ „ფორმისათვის“ ილაშქრებდეს, ნამდვილად კი იგი ნებით თუ უნებლიეთ დაეთანხმება მათ. ისინი ამტკიცებენ, რომ მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან შეიძლება თითქოს მხოლოდ „ძალის პოზიციიდან“, და, მაშასადამე, ამბობენ ისინი, საჭიროა რატიფიკაცია შეთანხმებისა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების შესახებ, რათა შემდეგ ვაწარმოოთ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთანო.

ამრიგად, ამკამად ასახელებენ ორ შესაძლებლობას: მოლაპარაკება რატიფიკაციამდე თუ რატიფიკაციის შემდეგ. საკუბეთი ცხადია, რომ თუ მოლაპარაკება მოხდა რატიფიკაციის შესახებ კამათის წინ, მაშინ კამათი მოგვცემს მშვენიერ შემთხვევას, რომ თავიდან ავიშოროთ გერმანიის მილიტარიზმის აღორძინება, გავაერთიანოთ გერმანია თავისუფალი არჩევნების გზით, ხელი მოვაწეროთ სახელმწიფო ხელშეკრულებას ავსტრიასთან და, ბოლოს, გადამწყვეტ ფაზაში შევიყვანოთ მოლაპარაკება საყოველთაო ერთდროულ და კონტროლირებულ განიარაღებაზე. პირიქით, როცა ამბობენ, რომ მოლაპარაკება მოეწყოს რატიფიკაციის შემდეგ, იბადება კითხვა — მოლაპარაკებას ხომ არ შეუქმნიან საფრთხეს მომხდარი ფაქტების პოლიტიკით? აქ ჩვენ უნდა დავიმოწმოთ დოკუმენტები. 1950 წლის ოქტომბერში საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ იგი არ შეეწინააღმდეგება გერმანიის მილიტარიზმის აღორძინებას. თავის ამასწინანდელ ნოტებში 1954 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში იგი აღნიშნავდა, რომ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებები აშკარად ეწინააღმდეგება ინგლის-საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებებს, რომლებიც მიმართულია აგრესიის ყოველგვარი საფრთხის წინააღმდეგ, მაშინ როცა აღნიშნული შეთანხმებებით დასავლეთ გერმანიას ეძლევა აგრესიის ახალი საშუალებანი. იგი გაფრთხილებას იძლეოდა, რომ ამ შეთანხმებათა რატიფიკაცია დიდი ხნით გადადებდა გერმანიის გაერთიანებას, და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საყოველთაო განიარაღება არ შეიძლება განხორციელდეს გერმანიის შეიარაღების გზით.

ამრიგად, თქვა დე შამბრენმა, ლონდონისა და პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია შეაფერხებდა გერმანიის გაერთიანებას, აგრეთვე საერთოდ განიარაღებას. ნაცვლად იმისა, რომ შექმნას გამოუსწორებელი მდგომარეობა, საჭიროა მოლაპარაკება. რაზე უნდა იყოს მოლაპარაკება? უწინარეს ყოვლისა, გერმანიის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრაზე, შემდეგ ევროპის ყველა იმ ქვეყნის ნამდვილი უშიშროების შექმნაზე, რომლებიც ისარგებლებენ ერთნაირი უფლებებით და რომლებიც იკისრებენ ერთნაირ ვალდებულებებს, რაც გამორიცხავს ევროპის გაყოფას ორ მტრულ ბლოკად. ამ დარგში მიღწეული ყოველი დადებითი შედეგი ხელს შეუწყობდა განიარაღების შესახებ შეთანხმების უსწრაფესად დადებას, რასაც მოუთმენლად ელიან ის ხალხები, რომლებიც ცხოვრობენ ატომური საშიშროების საფრთხეში და, რომლებსაც სტანჯავს ახალი ომისათვის მზადების შედეგები.

გეკითხებთ, რომელი გერმანელი, თუ იგი ნაციისტი არ არის, იფიქრებდა, რომ გერმანიის შეიარაღება სჯობს მისი ქვეყნის აყვავებას? რომელი ფრანგი იფიქრებდა, რომ უმჯობესია შეიარაღება, ვიდრე საფრანგეთის უშიშროება და მშვიდობა? რომელი საღად მოაზროვნე ადამიანი შეურიგდებოდა ომის რისკს გერმანიის შეიარაღების გულისათვის?

ჩვენ უნდა მოვიშველიოთ ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი. საჭიროა, რომ საზოგადოებრივი აზრის კამპანია იმდენადვე და კიდეც უფრო მეტად ენერგიული იყოს, ვიდრე კამპანია „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ წინააღმდეგ. ზოგიერთ ოფიციალურ წრეებში თითქოს ძლიერ ჩქარობენ დაამტკიცონ ლონდონისა და პარიზის შეთანხმებანი, რადგან სურთ, რომ საზოგადოებრივმა აზრმა ვერ მოასწროს საფრთხის გათვალისწინება და გამოამჟღავნოს თავისი ძალა. კამპანია უკვე დაიწყო. ამკამად შეიძლება ვილაპარაკო მხოლოდ საფრანგეთზე, სადაც უკვე შეგროვებულია ასეული ათასობით ხელმოწერა პეტიციაზე, რომლის უკანასკნელი სიტყვებია: „ნუ დაამტკიცებთ! აწარმოეთ მოლაპარაკებან!“

შემდეგ დე შამბრენმა თქვა, რომ საფრანგეთის ფრიად თვალსაჩინო მოღვაწეებმა წინადადება შეიტანეს მოწვეულ იქნას პარიზში ამა წლის 4 დეკემბერს ევროპის თათბირი, ომის ანალოგიური თათბირი, რომელიც გაიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში იმ ქვეყნების წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომლებზეც უნდა გავრცელებულიყო ხელშეკრულება „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ შესახებ. ამ თათბირზე უნდა მოიწვიონ ევროპის ყველა ქვეყანა, რომელიც დაინტერესებულია აგრეთვე გერმანიის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრით.

ჩვენ, თქვა დე შამბრენმა, შეგვიძლია ოპტიმიზმით ჩავებათ ამ ბრძოლაში. ეროვნული ინტერესებისა და მშვიდობის შენარჩუნების საჭიროების შეგნება გაადიდებს თვითეული ხალხის ძალებსა და ნებას და მისი მომავალი ბედის გარანტია იქნება. მეტად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენმა მოძრაობამ ამ კამპანიის მისცეს მსოფლიო გაქანება. ჩვენ მუდამ იმას მოვითხოვდით, რომ მოლაპარაკებაზე დამყარებული გადაწყვეტილებანი უფრო მაღლა მდგარიყო, ვიდრე ძალაზე დამყარებული გადაწყვეტილებანი, რადგან არის იმის იცდა, რომ თავს მოგვახვიონ ძალაზე დამყარებული გადაწყვეტილება, ესე იგი გადაწყვეტილება გერმანიის შეიარაღების შესახებ, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ წინასწარი მოლაპარაკების წარმოება.

რა თქმა უნდა, ჩვენ დიპლომატები არა ვართ და ჩვენი საქმე არ არის, სად და როდის უნდა გაიმართოს თათბირი და რამდენი მონაწილე უნდა იყოს ამ თათბირში. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ თათბირი გაიმართოს და რომ მოლაპარაკება დაიწყოს მომხდარ ფაქტზე, ესე იგი რატიფიკაციაზე ადრე. ვადის სიმოკლე და საფრთხის ხასიათი ისეთია, რომ უნდა მივითხოვოთ დაუყოვნებლივი მოლაპარაკება. ჭეშმარიტად შეგვიძია ვთქვათ, რომ ჩვენ გზაჯვარედინზე ვართ და რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა გზას ავირჩევთ. მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზეა დამოკიდებული რომ 1955 წელი გახდეს უშიშროებისა და განიარაღების წელი, მშვიდობისმოყვარე ერთა გაერთიანებაში გაერთიანებული გერმანიის შეკავლის წელი, საერთაშორისო დაძაბულობის შერბილების წელი, მშვიდობის წელი. მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ მილიონობით ადამიანმა შეიგნოს თავისი პასუხისმგებლობა და ცხადყოს, რომ ისინი თავიანთი მოვალეობის სიმაღლეზე არიან. მშვიდობისათვის უშუალო და ყოველდღიური ბრძოლა თვითეული ქვეყნის უშიშროების გარანტიაა. ხალხებს შეუძლიათ ჩაფუშონ მმართველთა მოქმედება, თუ ეს მმართველები ბოლოს და ბოლოს ანგარიშს არ გაუწევენ მათს მისწრაფებებს. სწორედ ამ პერსპექტივით უნდა მომზადდეს ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ძალთა წარმომადგენლების ასამბლეა, რომლის მოწვევასაც ჩვენი მოძრაობა აპირებს 1955 წლის პირველ ნახევარში.

ამერიკის ჩარევა ინდოჩინეთის საშინაო საქმეებში

ლონდონი, 18 ნოემბერი. (საკ-დესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა სამხრეთ ვიეტნამში გენერალმა კოლინსმა პრეს-კონფერენციაზე გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატები მზად არიან „მთელი პასუხისმგებლობა“ იკისრონ სამხრეთ ვიეტნამის ჯარების მომზადებისათვის. კოლინსმა განაცხადა, რომ იგი ამ საკითხს განიხილავს სამხრეთ ვიეტნამის პრემიერ-მინისტრ ნგო დინ დიემთან და ინდოჩინეთში საფრანგეთის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ გენერალ ელისთან ერთად.

სამხრეთ ვიეტნამში, ნათქვამია ცნობაში, ჯარების მომზადების იმავე ამერიკულ მეთოდებს გამოიყენებენ, რომლებსაც იყენებდნენ საბერძნეთსა და სამხრეთ კორეაში.

გულგარელი მოჭიდავეები თბილისში

ბიბლიოთეკა

გუშინ თბილისში ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოჭიდავეთა ნაკრები კოლექტივი 16 კაცის შემადგენლობით. სპორტსმენთა დელეგაციას ხელმძღვანელობს ბულგარეთის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ძალოსნობის განყოფილების უფროსი ბ. პასკალევი.

სტუმრებს რკინიგზის სადგურზე გულთბილი შეხვედრა მოუწყეს, თბილისელმა სპორტსმენებმა მათ მრავალი თაიგული უძღვნეს.

* * *

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში თავისუფალი ჭიდაობა დიდი პოპულარობით სარგებლობს. აქ იმართება სხვადასხვა ჩემპიონატები, საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრები, რომლებიც სპორტის მრავალ მოყვარულს იზიდავს.

ბულგარელი და საბჭოთა მოჭიდავეების საერთაშორისო ამხანაგურმა შეხვედრამ მოსკოვში დიდი ინტერესი გამოიწვია. სტუმრებმა ჭიდაობის მაღალი ოსტატობა აჩვენეს.

პირველი მატჩი თავისუფალ ჭიდაობაში ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „სპარტაკისა“ და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს შორის მოსკოვში გაიმართა 13 ნოემბერს. შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 6:2. „სპარტაკის“ გუნდის შემადგენლობიდან შეხვედრა მოიგეს: უმჩატეს წონაში — ლ. ფირგერმა, მჩატე წონაში — ს. ყაზაროვმა, ქვემსუბუქ წონაში — ს. სოლოდმა, ქვესაშუალო წონაში — ე. სიმონიანმა, საშუალო წონაში — გ. სხირტლაძემ, ქვემძიმე წონაში — ბ. კულაევმა.

ბულგარელთის ჩემპიონებმა დ. იანჩევმა და ნ. მარინოვმა გაიმარჯვეს მსუბუქ და მძიმე წონაში.

მეორე შეხვედრა ბულგარელმა სპორტსმენებმა ჩაატარეს 17 ნოემბერს ბაქოში ადგილობრივ ნაკრებ გუნდთან. საინტერესო მატჩი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 4:4. ბაქოელი მოჭიდავეებიდან წარმატება მოიპოვეს გ. საიადოვმა, რ. მამედბეკოვმა, ა. ტერიანმა და მ. დადაშევმა. ბულგარელმა სპორტსმენებმა დ. იანჩევმა, დ. დობრევმა, პ. სარაკოვმა და ბ. მეხმედოვმა გაიმარჯვეს მსუბუქ, ქვესაშუალო, ქვემძიმე და მძიმე წონაში.

* * *

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და საქართველოს ნაკრები გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში გაიმართება 22 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო ცირკში. საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში შედიან: მ. ცალკალამანიძე, ზ. მონასელიძე, ა. მაისურაძე, ვ. გიგიაძე, ნ. მუზაშვილი, დ. ჩლიქაძე, ვ. ილურიძე, ს. გაბარაევი, ვ. ბალავაძე, ვ. ვაკარაძე, დ. ციმაკურიძე, ე. ქარქუსაშვილი, შ. დაუშვილი, ბ. თედეევი, ო. კანდელაკი, შ. მდინარაძე.

სურათზე: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მოჭიდავეები თბილისის რკინიგზის სადგურზე.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

საბჭოთა მოჭიდაობელები უნგრეთში

ბუდაპეშტი, 18 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ უნგრეთში საბჭოთა გროსმაისტერებმა ბრონშტეინმა და პეტროსიანმა ერთდროული თამაშის სეანსები გამართეს. ბრონშტეინი ბუდაპეშტში ეთამაშებოდა ექვს ახალგაზრდა უნგრელ მოჭადრაკეს. თამაში დამთავრდა ბრონშტეინის სასარგებლოდ ანგარიშით 3,5 : 2,5.

გროსმაისტერი პეტროსიანი ტატაბანში თამაშობდა ერთდროულად ოცდაათ დაფაზე. მან მოიგო ოცდაერთი პარტია, შვიდი ყაიმით დამთავრა და ორი წააგო.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 21 და 22 ნოემბერს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, მეტწილად უნალექოდ. აღმოსავლეთის ზომიერი, ჩრდილის ხეობაში ძლიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 5-10, დღისით 17-22 გრადუსი